ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ბიბლიოთეკა

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №6 (1794) 25 მარტი-8 აპრილი 2003

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

მე-2 გვ.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

აკაკი ბაქრაძე - 75!



«ეროვნული მოძრაობის ბირთვი აკაკი ბაქრაძის ლექციებზე იყო გამოღვიძებული და გამობრძმედილი»

მე-7 გვ.

ქართველი პატრიოტი ორმაგად საყრდენია დასავლური დემოკრატებისათვის

(ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან)

„...არ გამოვრიცხავ, პარლამენტის რეაქციული ნაწილისათვის შევარდნაძეს ჩუმად ჰქონდეს ნათქვამი, ამერიკელებთან ხელშეკრულების რატიფიკაცია მაქსიმალურად გააჭიანურეთო“.

მე-2 გვ.

ინგლისური ვერდიქტი ერაყის საქმეზე



მე-3 გვ.

რას შვრება ამასობაში ალ-ყაიდა?

„ალ-ყაიდას საბოლოო მიზანი გარკვეული არაა. არის ვერსია, რომ იგი მდგომარეობს მუსლიმანთა საბოლოო ერთობის შექმნაში და დასავლური ცივილიზაციის განადგურებაში. თუ ასეა, მაშინ, ჟურნალის სიტყვით, მისტერ ბინ ლადენს და მის ამფსონებს ხელმოცარვა ელით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამის მცდელობაში ისინი ბევრ უბედურებას ვერ დაატრიალებენ.“

ერაყის ომი — სცენარი და სინამდვილე

რა ელის ერაყს ომის შემდეგ?

კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

ჰაცია-ადამიანი?!

(თანამედროვე ვარიანტი)

მე-6 გვ.

ქართველი პატრიოტი ორმაგად საყრდენია დასავლური დემოკრატებისათვის

(ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან)



— ბატონო ნოდარ, ჩვენი მოსახლეობა ცოტა არ იყოს შიშობს, ერაყიდან რაკეტა არ გვესროლონო. თქვენ რა აზრისა ხართ ამ თემაზე?

— შიში გამართლებულია. ერაყს ჩვენთან ჯიჰადი ანუ საღვთო ომი აქვს გამოცხადებული შევარდნაძის განცხადების პასუხად. ერაყს რაკეტები აქვს და როგორც ჩვეულებრივ, ისე ბაქტერიულ და ქიმიურ იარაღს ფლობს. ჩვენ დაცვა არ გვაქვს. მოგეხსენებათ, არც სარდლობა და ე.წ. სახელმწიფო ხელმძღვანელობა გვყავს. არა მგონია, ერაყს საჩვენოდ ეცალოს. მაგრამ რუსეთს სცალია. მთავარი საშიშროებაა, რუსეთმა არ შემოგვიყაროს ბაქტერიები იმ იმედით, რომ თუ „საქმე გასკდა“, ეს აქტი სადამ ჰუსეინს მიეწერება. ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ ორი კვირის წინ.

— ამერიკელებმა ამ ბოლო წლებში რამდენჯერმე გადაგვარჩინეს რუსეთის აგრესიას და ახლაც გვიცავენ. გვაქვს უფლება, დღეს თანადგომაზე უარი ვუთხრათ? ხომ ფაქტია, რომ დღეს მათ გასაჭირი ადგათ.

— ეგ კითხვა მაშინ დგება, თუ ამერიკელებს პრაქტ[illegible] ვჭირდებით და თანადგომას გვთხოვენ. ჩვენ მათ არ დავჭირდებივართ და არც თანადგომისთვის მოუმართავთ.

— საკითხს მორალური მხარეც აქვს. ვმონაწილეობთ თუ არა, პრინციპში, კაცობრიობის ერთობლივი ამოცანების გადაწყვეტაში?

— სავსებით მართალი ბრძანდებით. ასე გიპასუხებთ: პრინციპში — ვმონაწილეობთ. სხვანაირად შეუძლებელია და დაუშვებელია. ვმონაწილეობთ ჩვენ რეალურ შესაძლებლობათა და რისკთა პროპორციის დაცვით. ეს თემა საზოგადოებაში არ ტრიალებს და, სხვათა შორის, არც რეალური გეოსტრატეგიული თემა ტრიალებს. რა ინტერესი მონაწილეობს ამ ომში? მედიაში ამ საკითხის მინიშნებასაც კი ვერ ნახავთ.

— მხოლოდ ნავთობის ხსენებაა მოდაში.

— დიახ, მაგრამ ეს ნაკლებ არსებითია. აქ საქმე ეხება ორ უმნიშვნელოვანეს არეალს: ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიას. გარდა ამისა, მიმდინარეობს ისტორიის ექსპერიმენტი. ერთი მხარე თავის მიწასთან კონტაქტში იბრძვის, ანთეოსივით, მეორე — შორს, მაგრამ ორივეს ინტერესი სასიცოცხლო მასშტაბისაა. როგორი აღმოჩნდება და როგორად გამოჩნდება ერთის და მეორის ფსიქიკური რესურსი? გარდა ამისა, გამოჩნდება დასავლეთის ლიდერი სუპერძალის პერსპექტიული დამოკიდებულების ნიშნები მოკავშირისადმი, ამ შემთხვევაში — თურქეთისადმი ერთის მხრივ და შედარებით მცირე ხალხთა ეროვნული ბრძოლისადმი, ამ შემთხვევაში — ქურთების ბრძოლისადმი მეორეს მხრივ. თურქულ-ამერიკული ურთიერთობა, ალბათ, არ დარჩება ისეთი, როგორიც მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა. თურქეთი, ალბათ, აღარ განიხილება როგორც ერთადერთი დასაყრდენი და მოკავშირე რუსეთის ძალის წინაშე. ეს არსებითია ჩვენი ქვეყნის ამოცანათა გააზრებისათვის. თუ გავიხსენებთ საკუთარი თავის იმ „ლუსტრაციას“, რომელიც საქართველოს პარლამენტის [illegible] ნაწილმა მოახდინა ამას წინა[illegible] ამერიკელებთან ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციის გაჭიანურებით, მაშინ უნდა ვთქვათ ასე: დღეს ამერიკელებისთვის ნათელი ხდება (ან, ყოველ შემთხვევაში, ნათელი უნდა გახდეს) ისიც, რომ მისი ნამდვილი პოტენციური მოკავშირე ამ რეგიონში და ნამდვილი მედასავლეთე მხოლოდ საქართველოა, და ისიც, რომ საქართველოში მისი ნამდვილი მოკავშირე და ნამდვილი მედასავლეთე მხოლოდ ქართველი პატრიოტი, ე.წ. ქართველი ნაციონალისტია, და არა ის, ვინც შემთხვევით სარგებლობს, რათა „საბაზრო ეკონომიკისა“ და „დასავლური ღირებულებების“ ცნებები ატრიალოს, მაგრამ რეალურად არ ფიქრობს — და ვერც იფიქრებს, — რომ რუსეთის იმპერიული ფარვატერიდან თავისუფალი ზღვის სივრცეში გამოცურვას.

— გამორიცხავთ, რომ პარლამენტის რეაქციული ნაწილისათვის თვით შევარდნაძეს ჰქონდეს ჩუმად ნათქვამი, რუსეთს არ აწყენინოთ, ამერიკელებთან ხელშეკრულების რატიფიკაცია მაქსიმალურად გააჯანჯლეთო?

— არ გამოვრიცხავ. უფრო მეტი: ვერც გამოვრიცხავ. მაგრამ ეს „ინსტრუქცია“ — თუკი იგი მართლაც შედგა, — დამარცხდა. და დამარცხდება კიდეც ამას იქით ყოველთვის. საბედნიეროდ, საშუალო და საშუა[illegible] ნაკლები დონის ადამიანთა გულ-გონებაში, — და არა მხოლოდ მოწინავეთა გულ-გონებაში, როგორც ადრე — დასავლეთი დღეს უფრო მძლავრ ფაქტორად არის აღბეჭდილი, ვიდრე რუსეთი. [illegible] შეფარდება ამას იქით აღ[illegible]დეს შეიცვლება.

— როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე ამ სიტუაციაში როგორ უნდა იქცეოდეს? როგორ მოიქცეოდა გონიერი და ერთგული კაცი მის ადგილას?

— იგი გადადგამდა ყველა საჭირო პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელიც ჩვენს რეგიონში ჩვენი დიდი მოკავშირის — შეერთებული შტატების — გაძლიერებას სჭირდება, მაგრამ არ მისცემდა ამას ისეთ სააფიშო ფორმას, რომელსაც მოჰყვება ახლო აღმოსავლეთის ქვეყანასთან ომის მდგომარეობაში ყოფნა. თვით ეს სააფიშო ფორმა ბადებს ეჭვს, რომ აქ რუსული დავალება მონაწილეობს. ასეთი კაცი ხელს მოაწერდა ამერიკელებთან შეთანხმებაზეც საქართველოში მათი სამხედრო მოსამსახურეების იურიდიული სტატუსისა და მდგომარეობის შესახებ, მაგრამ დათქვამდა და ფორმალიზებულად დააფიქსირებდა, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის არდაქვემდებარება საქართველოს სასამართლოსადმი გაუქმდება მაშინათვე, როგორც კი საქართველოს სასამართლო პასუხისმგებლობის, კვალიფიკაციისა და პატიოსნების გარკვეულ მინიმალურ ნიშნულს მიაღწევს. პერსპექტივისთვის კი დასახავდა ისეთი ვითარების მიღწევას, როგორიც ევროპაში ამერიკელთა დგომის მარეგულირებელ კანონმდებლობაშია დაფიქსირებული.

მანანა ლოგჯანიძე

როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №1,2,3,4,5. 2003წ.

ჯ. იოსელიანი. დიახ, აფხაზეთი დაკარგეს პოპულისტებმა, რომ გამოდიოდნენ... (ხმაური დარბაზში). წალენჯიხის კომისია... (ყვირილი დარბაზში).

თავმჯდომარე. ე.ი. თქვენ მუშაობის ჩაშლა გინდათ (ყვირილი დარბაზში).

ჯ. იოსელიანი. მე ერთი წინადადება მაქვს მთავრობის მეთაურთან. საგანგებო მდგომარეობის დროს საერთოდ პარლამენტი არ არსებობს (ხმაური დარბაზში).

რ. ბერიძე. აღარ არის საგანგებო მდგომარეობა.

ჯ. იოსელიანი. მაგრამ არის ერთი რამე, სახელმწიფოს მეთაურს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი (ყვირილი დარბაზში). მე ვფიქრობ, რომ პარლამენტი უნდა დაითხოვოთ, იმიტომ, რომ ესენი ხელის შეშლის მეტს არაფერს არ აკეთებენ. თქვენ ამის უფლება გაქვთ და უნდა გაკეთდეს ეს. და მერე, იმიტომ რომ ამათ... (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ბატონო ჯაბა...

ჯ. იოსელიანი. უნდათ ისევ საქმე. (ხმა დარბაზიდან). და ბოლმები დავიოკოთ, დავიოკოთ. იმიტომ, რომ ძალიან სერიოზულ საქმესთან გვაქვს საქმე. თორემ სხვა საშუალებებიც არის, აღარ განმეორდება ის, იცოდეთ. კარგად იყავით (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. გმადლობთ. ბატონი ივანიანე ხაინდრავა, შემდეგ ბატონი ვალერი კვარაცხელია. (ხმაური დარბაზში). მე კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ გარკვეული ჯგუფის არარეგლამენტურ მოქმედებას, მე არ მინდა, სხვა სიტყვა ვთქვა ჯერჯერობით (ყვირილი დარბაზში). ნუ ყვირიხართ, კოლექტიური ყვირილი წერია რეგლამენტში სადმე? დაბრძანდით ადგილზე, ვისაც აზრი აქვს და სათქმელი აქვს, შეუძლია, აქ გამოვიდეს. (ყვირილი დარბაზში). ნუ ყვირიხართ. ყვირილი სირცხვილია პარლამენტში (კამათი დარბაზში).

ი. ხაინდრავა. ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დეპუტატებო... (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ქალბატონო ლუიზა, ძალიან გთხოვთ, რომ დაგვდოთ პატივი პარლამენტს, ნუ ვყვირივართ ადგილიდან. ა.შ. და ა.შ. მაგრამ ამას აღარ ჩამოვთვლი, მე მგონი ყველამ ისედაც მშვენივრად იცის ეს. მე მინდა, წაგიკითხოთ ერთი ციტატა იმ ინფორმაციიდან, რომელიც ჩვენ მივიღეთ სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერით, სადაც წერია:

„ყოველმა ჩვენთაგანმა სინდისისა და გონების კარნახით უნდა გადაწყვიტოს, თუ რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ქვეყანა — ემოციების, ილუზიებისა და აქედან გამომდინარე გაცრუებული იმედების გზით, თუ ვიხელმძღვანელებთ რეალური სიტუაციის სერიოზული ანალიზით და პრაგმატულად მივუდგეთ ჩვენთვის საარსებო საკითხებს“. თუ ჩვენ ავწონ-დავწონით, რა რას უფრო შეესაბამება, მე მგონი, ჩვენი მთელი ისტორიული ურთიერთობა რუსეთთან, ეს არის სწორედ გაცრუებული იმედები, ეს არის ილუზიები, ილუზიები იქნება კვლავ, თუ ჩვენ ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედებს და ჩვენს სახელმწიფოებრივობას რამენაირად დავუკავშირებთ, უფრო სწორედ რამენაირად კი არა, ისე ღრმად, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს რუსეთი. ჩვენ დავამყარეთ ორმხრივი ურთიერთობები, და ეს სახელმწიფოს

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

ქუჩაში გადააგორონ ეს ამბავი.

თავმჯდომარე. ბატონო ჯაბა, მე ვაფიქსირებ მთელი საქართველოს წინაშე, თქვენ ეწევით ხელისშემშლელ მუშაობას, ეს არ არის მუშაობა.

ჯ. იოსელიანი. ბატონო ვახტანგ, ერთი წუთით. (ხმა დარბაზიდან). გასაგებია, თქვენ გინდათ ხელისუფლება. კი, ბატონო, მაგრამ ხელისუფლებაში თქვენ ხართ, მაგრამ არ იყენებთ ისე, როგორც უნდა გამოიყენოთ. თქვენ პირველი დღიდან გაიძახოდით — თქვენ მოდით და იყავით ჩვენთან ერთად. მაგრამ არ გინდოდათ, პასუხისმგებლობის შეგეშინდათ. ახლა რომ საქმე კარგად მიდის (სიცილი დარბაზში)... კარგად მიდის საქმე, იცოდეთ, ძალიან კარგად მიდის. არ არსებობს ეტაპი, არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომ გადახტე ეტაპიდან-ეტაპზე. ეტაპიდან-ეტაპზე რომ გადახტე ან თავს მოიტეხავ, ან ფეხს. ყველაფერს თავისი ეტაპი აქვს. ამიტომ ყველაფერი ბრუნდება ამ ეტაპზე, რომელზეც ჩვენ გადავხტით. არ უნდა გადავხტარიყავით, უნდა გაგვეარა, დაგვემუშავებინა და გაგვეგრძელებინა წინ. ახლა, დღეს, თქვენ მოუწოდებთ, რომ, აი, ჩაიშალოს ეს ამბავი. რა გაქვთ ალტერნატივა, გამოდით და თქვით — აი, ეს გავაკეთოთ. მოდით, ბატონო, აი, ჩვენ იქ წავალთ, იქ წავალთ. ბატონ ირაკლი წერეთელს მინდა ვკითხო, რომ იყო იქ, ნატოში, რატომ არ ჩამოიყვანა ჯარები, მაინტერესებს.

ი. წერეთელი. (ადგილიდან). სანამ ეს მთავრობა იქნება, არ დაგელაპარაკებითო, მითხრეს. (სიცილი დარბაზში).

ჯ. იოსელიანი. კაი, ბატონო, თქვენ აგირჩევთ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივა, ვერ გიპოვით, სად იქნებით, როგორც თავის დროზე რომ გეძებდით, სად იყავით? აი, მაშინაც საქმე საქმეზე რომ მივიდა, ვერ გიპოვეთ. ახლა ბოდიში და ძალიან დიდი მჭერმეტყველების ის არის, რა, ხოში. მაგრამ საქმეა საჭირო, (ხმაური დარბაზში. ლ. შაკიაშვილი ჩხუბობს, მაგრამ ხმა არ ისმის).

თავმჯდომარე. ქალბატონო ლუიზა, ქალბატონო ლუიზა... (ცხარე კამათი დარბაზში). ბრძანეთ, ეს არის ჩვენი სინამდვილე.

ი. ხაინდრავა. ბატონო თავმჯდომარე, ბატონო პრალამენტის წევრებო, მე მიხდება ბატონი ჯაბა იოსელიანის შემდეგ გამოსვლა და ამიტომ არ შემიძლია, პასუხი არ გავცე, ჩემი აზრით, აღმაშფოთებელ ბრალდებას, რომელიც აქ გაისმა ოპოზიციის მისამართით და საერთოდ იმ გაურკვეველ, თუმცა გარკვეულად გასაგებ გამოთქმებსაც, რომ თურმე სხვა მეთოდებიც არსებობს და ოპოზიცია ციხეში უნდა იჯდეს. ნუ, ალბათ, ეს ფაშიზმთან ბრძოლის ფლაგმანი, ბატონი ჯაბა იოსელიანი ასე აფასებს ოპოზიციის საქმიანობას. სრულიად გაურკვეველი და გაუგებარია ის ბრალდება, საერთოდ რაიმე ბრალდება ოპოზიციის მიმართ, როდესაც ცნობილია, რომ ოპოზიციას არავითარი ბერკეტები ხელისუფლებაში არა აქვს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაინც, რომ არც ერთი ოპოზიციონერი ხელისუფლებაში, მთავრობაში წარმოდგენილი არ იყო, აფხაზეთზე ლაპარაკი ზედმეტია... ჩვენ ვიცით, როგორ იყო მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ და პოსტფაქტუმ დააყენეს სახელმწიფო საბჭოზე. მისი კანონიერების საკითხი, კიდევ სხვა საკითხია. ამდენად სრულიად გაუგებარი არის, თუ რითი შეუშალა ხელი ოპოზიციამ ხელისუფლებას თავისი საქმიანობის წარმოებაში. უბედურება ის არის საქართველოში, რომ სწორედ ოპოზიციამ თავისი მცირერიცხოვნების გამო, ვერ შეუშალა ხელი ხელისუფლებას იმაში, რაც საქართველოში დატრიალდა: აფხაზეთის დაკარგვაში, სამაჩაბლოს დაკარგვაში, ეკონომიკურ ნგრევაში, საფინანსო სისტემის... უწესრიგობაში, კორუფციაში და მეთაურმაც აღნიშნა სამართლიანად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უმრავლესობასთან. ცოტა გაოცებას იწვევს, მაგრამ არ არის დამყარებული ასეთი ურთიერთობები განთავისუფლებულ რესპუბლიკებთან, მე ბალტიის რესპუბლიკებს ვგულისხმობ, დანარჩენებიდან სუყველასთან არის ასეთი ხელშეკრულება დადებული, დადებული არის მათ შორის რუსეთთანაც. რატიფიცირებული ჯერ არ არის ხელშეკრულება. რაღა თქმა უნდა, ძალიან მძიმეა, ხშირ მომენტში ჩვენი ღირსების და ინტერესების შემლახველი, მაგრამ ეს არის მაინც, ალბათ, უკეთესი, ვიდრე ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ დღეს, ვინაიდან საიდუმლოებას არ წარმოადგენს არავისთვის, რომ სწორედ რუსეთი არ მოდიოდა ჩვენთან ორმხრივი ხელშეკრულების დადებაზე თვეების მანძილზე და არა ისე, როგორც ოპოზიციას აბრალებდნენ, ოპოზიცია ბლოკირებას უკეთებდაო. ოპოზიცია ვერ გაუკეთებს ამას ბლოკირებას, ვინაიდან რუსეთი იყო დაინტერესებული სწორედ იმითი, რომ საქართველო ყოფილიყო ინტეგრირებული ამ ე.წ. დსთ-ში. დღეს ჩვენ, აი, ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ. და ახლა მე მინდა ვთქვა, თუ რატომ არის ილუზიები, ასე ვთქვათ, დამყარება იმედებისა, რომ დსთ-ს მეშვეობით შეიძლება მოგვარდეს ან ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში ან, თუ გნებავთ, იმავე აფხაზეთის საკითხი. დსთ-ს წესდებაში კი არის ლაპარაკი კოლექტიურ უსაფრთხოებაზე და მხარდაჭერაზე ერთმანეთისა საომარ პირობებში, მაგრამ ჩვენ გვაქვს თვალწინ მაგალითი სომხეთისა და აზერბაიჯანისა. მერამდენე წელია, მიმდინარეობს ეს სისხლისმღვრელი ომი და მე მგონი, რუსეთი მხოლოდ იმას აკეთებს იქ, რომ ხან ერთ მხარეს აძლევს იარ-

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისური ვერდიქტი ერაყის საქმეზე

ერაყის თემას უკვე რამდენიმე თვეა ცენტრალური ადგილი უჭირავს ბრიტანელთა გონებაში. მსჯელობენ საკითხის არა მხოლოდ სტრატეგიულ და პოლიტიკურ, არამედ იურიდიულ და მორალურ მხარეზეც. დარტყმამდე ორი დღით ადრე, 15-ის მარტის ნომერში ჟ. THE ECONOMIST აქვეყნებს მოწინავეს, სადაც შეჯამებულია ყველა „პრო“ და „კონტრა“ ომის დაწყებასთან დაკავშირებით. ომი, როგორიც დაიწყო, მოკავშირეთა ამ იდეოლოგიით მიმდინარეობს.



პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, ჟურნალის აზრით, რომ ჰუსეინმა დიდ შედეგს მიაღწია: მან არა მხოლოდ გაყო დასავლეთის აზრი, არამედ კითხვის ქვეშ დააყენა — და თავის მოწინააღმდეგეებსაც დააყენებინა — თვით გაეროს მომავალი ბედიც და საერთაშორისო სამართლის მომავალი წონაც მსოფლიოში, ისევე როგორც ევროკავშირის მომავალი და ამერიკის საგარეო პოლიტიკის მომავალი მიმართულება.

ჰუსეინმა ჯერ არღვია და არღვია გაეროს 1991 წლის რეზოლუცია №867, რომელიც მოითხოვდა მისგან ანგარიშს მის ხელთ არსებული იარაღის თაობაზე და რომელიც იმ ფასს წარმოადგენდა, რითაც მან ძალაუფლება შეინარჩუნა სპარსეთის ყურის ომში განცდილი გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ. შემდეგ მან ასევე დაარღვია გასული ნოემბრის რეზოლუცია №1441, რომელიც მას ამავე მიზნისთვის 30 დღის ვადას აძლევდა. მან, ფორმალურად, რამდენიმე რაკეტა და ცარიელი ქიმიური ქობინი მიუგდო ინსპექტორებს ჰანს ბლიქსის ხელმძღვანელობით და არ გაამხილა თავისი ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის არც ერთი ადგილსამყოფელი. ის, რომ თავისი მოქმედებით იგი განხეთქილებას იწვევდა დასავლეთა შორის, ჰუსეინმა სწორად გათვალა. მაგრამ ის, რომ კუვეიტზე თავდასხმას 1990 წელს მას არ შეარჩენდნენ, და ის, რომ ამჯერადაც გაეროს რეზოლუციების შეუსრულებლობა ძვირად დაუჯდებოდა, მან ვერ გათვალა. მაგრამ კმარა თუ არა ეს იმის გონივრულ საფუძვლად, რომ დასავლეთმა მის წინააღმდეგ ფრონტი გახსნას?

ერთის მხრივ, მილიონობით ადამიანს და მრავალ მთავრობას ეშინია ომის. მრავალნი ფიქრობენ, რომ ჰუსეინს კიდევ დრო უნდა მიეცეს. მეორეს მხრივ, ჟურნალის აზრით, ჰუსეინის ქცევა გასული 12 წლის მანძილზე ნათლად მეტყველებს, რომ იგი ამ გადავადებით მხოლოდ გათამამდება და თავისას გააგრძელებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი ის ტირანია, ვინც თავს დაესხა კუვეიტს და ირანს, დარტყმა მიაყენა საუდის არაბეთსა და იზრაელს, ქიმიური იარაღი იხმარა თავისი მოქალაქე ქურთების წინააღმდეგ. ბოლო წლებში თუ ახალი თავდასხმები ვეღარ მოახდინა, ეს მხოლოდ იმის დამსახურებაა, რომ ამერიკელები და ინგლისელები შიგადაშიგ მის პოზიციებს ბომბავენ. ჰუსეინის ამ აგრესიულობით გამოწვეული ეკონომიკური ბლოკადა ერაყელ ხალხს უდროოდ გარდაცვლილი 360 ათასი (ზოგი შეფასებით კი — 700 ათასი) ბავშვის სიცოცხლედ დაუჯდა. ამ ბლოკადამ გააძლიერა არაბი ხალხის სიძულვილი დასავლელებისადმი, დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ არაბული ქვეყნები იქცა „იმ ჭაობად, რომელიც ტერორისტებს ჩეკავს“.

ჟურნალის სიტყვით, ზოგნი დასავლეთის პოზიციას ერაყის მიმართ ფარისევლობად თვლიან. მართლაც, თუკი მასობრივი განადგურების იარაღი აქვს ამერიკას, პაკისტანს ან ინდოეთს, რატომ არა აქვს მისი ქონის უფლება ჰუსეინს? პასუხი ასეთია: „სახიფათო იარაღი ბევრად უფრო სახიფათო ხდება მაშინ, როცა სახიფათო ადამიანთა ხელში ხვდება“. თავისი სახიფათოობა ჰუსეინმა დაამტკიცა ქიმიური იარაღის გამოყენებით ირანთან ომში და ქურთების მოძრაობის ჩახშობისას. ამიტომ მას ხელი უნდა შეეშალოს ბიოლოგიური თუ ბირთვული იარაღის გამოყენების მცდელობაში ამას იქით.

სხვები შიშობენ, რომ ჰუსეინთან ომი სტაბილობას დაარღვევს. მაგრამ საკითხავია: რა ბედი ეწევა სტაბილობას, თუ არსებული მდგომარეობა გაგრძელდება? ერაყში აგრესიული რეჟიმის არსებობა სტიმულს აძლევს იარაღის წარმოებისა და შეძენისათვის ირანს და იზრაელს. იგი იწვევს აგრეთვე ამერიკული და ბრიტანული ავიაციის დგომას კატარსა და საუდის არაბეთში. კუვეიტს გულით სწადია ომის დაწყება, საუდის არაბეთსა და იორდანიასაც ასეთი ომის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ამგვარად, „მეზობლებს მიაჩნიათ, რომ ცვლილება სჯობია მდგომარეობის უცვლელად დატოვებას“. პირველ ყოვლისა კი, ჟურნალის აზრით, ისაა მხედველობაში მისაღები, რომ ჰუსეინის რეჟიმის მოცილება უნდა 25 მილიონიან ერაყელ ხალხს, რომელსაც ამ რეჟიმმა უკვე ასათასობით მსხვერპლი მიაყენა წამებისა და რეპრესიების გზით. კრიტიკოსები ამჯერადაც იტყვიან, განა ჰუსეინის გარდა ადამიანის უფლებებს მრავალი სხვა მმართველი არ არღვევსო? დიახ, არღვევს“ მაგრამ თუ ვერ მოგივლიათ ყველა მასობრივი მკვლელისათვის, განა ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი არ უნდა დასაჯოთ?“.

ამგვარად, დასკვნა ნათელია: ჰუსეინის რეჟიმის არსებობა სტაბილობას ხელს არ უწყობს, იგი სახიფათოა, მის ხელში ესოდენ სახიფათო იარაღის დატოვება არ შეიძლება. მაგრამ ამით ჩნდება კითხვა: რატომ ვერ მიიღო უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მის წინააღმდეგ მოქმედების დასაწყებად? ეს არაა მხოლოდ ჰუსეინის „დამსახურება“, რომელმაც შეძლო, ისეთი მცირე განსხვავება, როგორიც ამერიკულ და ფრანგულ მოდგმას შორის იყო და არის (იგი, ჟურნალის სიტყვებით, ეხება მხოლოდ იმას, როგორ იმოქმედონ და რამდენად სწრაფად. იმაზე, რომ ჰუსეინი „საშინელი კაცია და განიარაღებულ უნდა იქნას“, ამერიკა და საფრანგეთი ერთი აზრისანი არიან), ამ ორ ბანაკს შორის დაპირისპირების მიზეზად ექცია. ეს დასავლელთა ბრალიცაა. ამერიკელებს ორი დიდი დიპლომატიური შეცდომა აქვთ დაშვებული, „მცირეთა გარდა“. პირველი. მათ არ უნდა ეძებნათ ახალი მტკიცებულება იმისა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს, არამედ უნდა დასჯერებოდნენ №1441 რეზოლუციას, რომელმაც „მტკიცების ტვირთი სადამ ჰუსეინს დააკისრა“, ანუ ჰუსეინი დაავალდებულა, დაამტკიცოს, რომ იარაღი არა აქვს. ეს შეცდომა ამერიკელებს ჩაადენინა სურვილმა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მიემხროთ. მეორე. „წინმსწრობი დარტყმის“ სტრატეგიის გამოყენებით ამერიკელებმა დააფრთხეს მსოფლიო და ეჭვი აღუძრეს, ვაი თუ ერაყზე დარტყმა მხოლოდ პირველი მერცხალი იყოს სხვა ქვეყნებზე ასევე „წინმსწრები“ დარტყმების სერიისთვისო. ფრანგებს, თავის მხრივ, შეეშალათ, როცა არაოფიციალური განცხადებებით შექმნეს აზრი, თითქოს №1441 რეზოლუციის შემდეგ, რომელსაც მათი ხელმოწერაც აქვს, მტკიცების ტვირთი ამერიკელებს ეკისრებოდეთ და არა ერაყელებს. მათი დიპლომატიური შეცდომაა ქედმაღლური განცხადებებიც იმის თაობაზე, რომ აღძრულ კამათში საქმე ეხება არა ერაყის კონკრეტულ პრობლემას, არამედ ამერიკისა და ევროპული ქვეყნების ძალთა და უფლებათა მიმართებასა და კონფლიქტს საერთოდ, „ერთმხრივად“ მოქმედი ამერიკელებისა და „მრავალმხრივად“ მოქმედების მომხრე ევროპელების დაპირისპირებას.

ჟურნალი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკელების და ფრანგების „შერიგებას“ ჰუსეინის წასვლის შემდეგ. უნდა აღიარებულ იქნას, რომ მათ მიზანი ერთი ჰქონდათ და აქვთ, სხვაობა მხოლოდ საშუალებებს შეეხებოდაო. მიზანია სტაბილობა და კეთილდღეობა ახლო აღმოსავლეთში. იგივეა სიამტკბილობის აღდგენის გზა ევროკავშირის შიგნითაც.

ჟურნალი ეხება ერთ პრინციპულ საკითხსაც. მისი თქმით, ზემოხსენებულ დაპირისპირებაში დასავლელთა შორის გამოჩნდა ორი „მითი“. პირველი. თითქოს უშიშროების საბჭოს უგულებელყოფით ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა ხელყვეს „კანონის საერთაშორისო ბატონობის“ ის სისტემა, რომელიც არსებობს 1945 წლის აქეთ გაეროს სახით. ეს ასე არ არის. მეორე. თითქოს გაერო საერთაშორისო პარლამენტის მსგავსი რაღაცა ორგანიზაცია იყოს, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს ამა თუ იმ საერთაშორისო ქმედებებს. ესეც შეცდომაა. გაერომ თავისი ისტორიის მანძილზე თავისი მანდატი მისცა მხოლოდ სამ აქციას: კორეაში (1950), ერაყში (1991) და ავღანეთში

(2001) სამხედრო მოქმედებას. ყველა სხვა აქცია, კოლექტიურის ჩათვლით, გაეროს გვერდის ავლითაა ჩატარებული, რაშიც გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ რუსეთი, რეფლექსურ მოქმედებასავით, ვეტოს ადებდა ყველა ინიციატივას „ცივი ომის“ წლებში. ჟურნალი ფიქრობს, რომ საერთაშორისო ფორუმების მნიშვნელობა (ერთი ასეთთაგანია გაერო და მისი უშიშროების საბჭო) მომავალში არ შემცირდება, თუმცა მათ მოუხდებათ დღევანდელი კრიზისის მწარე გაკვთილის გათვალისწინება და ერთგვარი რეფორმირება, პირველ ყოვლისა — „ვეტოს“ და, ზოგადად, ხმის მიცემის პროცედურის საკითხებში. ასეთები იქნებიან, პირველ ყოვლისა, ისევ გაერო, ნატო, ევროკავშირი. სუპერძალასაც (აშშ-ს), მიუხედავად მისი ერთადერთობისა დღეს, ასეთი ფორუმები დასჭირდება: იგი მარტო ვერ გაუძღვება ვერც მსოფლიო ამოცანებს, ვერც საკუთარ ინტერესთა დაცვის ამოცანებს.

იქნება თუ არა ნავთობხანძრები ერაყში?

კუვეიტიდან რომ უკან იხევდნენ წინა ომის დროს, სადამ ჰუსეინის ჯარებმა 700 კუვეიტური ნავთობჭაბურღილი ააფეთქეს. ხანძრების ჩაქრობას 9 თვე დასჭირდა და მეხანძრეთა არა სტანდარტული შრომა, არამედ შემოქმედებითი გმირობა მოითხოვა. ზარალი კუვეიტელებმა 20 მილიარდ დოლარად იანგარიშეს. იმისვე ეშინიათ ამერიკელებს ერაყში. თუ (როცა) საქმე დამარცხებისკენ წაუვა, ჰუსეინი ნავთობჭაბურღილების აფეთქებას ბრძანებს და ამისთვის მუხტები უკვე ადგილზე მიტანილიც აქვსო. მეხანძრეთა მომავალ სამუშაოს ის გაართულებს, რომ ერთი ჭაბურღილი მეორეს არ ჰგავს და ნავთობს ერაყში, კუვეიტისგან განსხვავებით, უმრავლეს შემთხვევაში გაზიც ახლავს. ერაყის საბადოები („ნავთობის მინდვრები“) გიგანტური ზომითაც გამოირჩევიან, მაგალითად, კირკუკისა (ჩრდ. ერაყში, ქურთების მხარეში), რომელსაც ახლა ქურთების თვალიც ადგას და თურქებისაც. ამ უზარმაზარი საბადოსთვის ცეცხლის წაკიდება ნამდვილ ჯოჯოხეთს შობს, მით უმეტეს, რომ მთიან და ჭაობიან ჩრდ. ერაყში ყველა ადგილი ძნელი მისადგომია მეხანძრეთა ტექნიკისათვის.

ერაყში სხვაა თვით საბადოთა ხარისხიც: რაც უფრო ძველია საბადო, მით ნაკლებია მასში წნევა და უფრო დიდია ალბათობა, ზედაპირზე გაჩენილმა ცეცხლმა ეს წნევა ისე დასცეს, რომ ამოტუმბვა შეუძლებელი გახდეს. მაგრამ, THE ECONOMIST-ის სიტყვით, სრულებით არაა ჯერჯერობით უეჭველი არც ის, რომ ჰუსეინი თავისი ქვეყნის „სიცოცხლის სისხლს“ — ნავთობს — წასახდენად გაიმეტებს, და არც ის, რომ ჯარისკაცები ასეთ ბრძანებას შეარულებენ.

სურათზე: ნავთობხანძარი კუვეიტში.

ბაღდადი ომის წინ

ბაღდადის განწყობილებები ომის წინ ჭრელია — ასე მოგვითხრობს 15.III. გამოსული THE ECONOMIST-ის ნომერი. ტაქსისტები უცხოელ კლიენტებს ეუბნებიან, ჰუსეინის უყოყმანოდ ერთგულნი ვართო, მაგრამ ინფორმაციას ბაღდადელები მაინც უცხო რადიოგადაცემებისგან ღებულობენ — ზოგი ფრანგულიდან, ზოგი ირანულიდან და ა.შ. მოხელეებს ყველაზე უფრო „სიენნისა“ სჯერათ. ჩუმჩუმად აკრიტიკებენ ხელისუფლებას, თუმცა იციან, რომ ეს ძვირად დაუჯდებათ. აზრი გაყოფილია იმის თაობაზე, თუ რა უნდათ ამერიკელებს — ერაყის განთავისუფლება დიქტატურისაგან („თუ ასეა, მაშინ ჯობდა ადამიანის უფლებათა დამცველები გამოეგზავნათ, ან არჩევნების დამკვირვებლები, მაგრამ არა ჯარებიო“) თუ ნავთობი? ჰუსეინის პირობა, ქუჩებში ვიომებო“, ყველას აშინებს „გარდა ყველაზე მამაცი ან ყველაზე სულელი ბაღდადელებისა“. შიიტებს, რომლებიც ბაღდადის ღარიბ გარეუბნებში სახლობენ,

აკანკალებთ, „რას გვიზამს ჰუსეინი წასვლის წინო“ (ერაყი სუნიტური ქვეყანაა), სუნიტები კი შიშობენ, „რას მოიმოქმედებენ შიიტები მომავალში, თუ ახლა შეავიწროესო“. ექსცესებისა ეშინიათ ქრისტიანებსაც (არაბთა შორის ქრისტიანებიც ბევრია). ხუთმილიონიან ქალაქში ბევრგან აღმართულია უკვე ქვიშის ტომრების ზღუდეები და ბარიკადები, მაგრამ ჩახედული ხალხი ამბობს, რომ მათი დანიშნულებაა არა ამერიკელთა შეჩერება, არამედ „ბრბოსი“, თუ მოულოდნელი ექსცესები მოხდა. მოსახლეობა ლამობს ქალაქიდან გარიდებას, მაგრამ საამისო თანხა ცოტა ვისმე თუ აქვს. ბომბების აფეთქებას — ასე ვარაუდობენ — ძველი შენობების დიდი დაზიანება მოჰყვება რყევის შედეგად. რესპონდენტი პროფესორი ეუბნება ჟურნალისტს, ჰუსეინის სასახლეები მძულს, მაგრამ დასანგრევად არ მემეტება, რადგან მაინც ერაყელების აშენებულიაო. ელიან ხიდების დანგრევასაც კი. მაგრამ იმედი აქვთ იმისიც, რომ ელექტრომომარაგება (თუკი დაინგრევა ელსადგურები) აღდგენას მოასწრებს მანამდე, სანამ კონდიციონერების ჩართვა გახდება საჭირო.

სურათზე: ომისათვის მზადება ბაღდადში

ერაყის ომი — სცენარი და სინამდვილე

ამ ომში ერთი მხარის ტექნიკური და პროფესიული უპირატესობა იმდენად დიდია, რომ მოსალოდნელია, ფაქტობრივად, ომის წინასწარი სცენარი და სინამდვილე ერთმანეთს დაემთხვას. მაგრამ დაბეჯითებით ვერავინ ვერაფერს იტყვის. საინტერესოა ის პროგნოზი ომის მიმდინარეობისა, რომელსაც **THE ECONOMIST** აქვეყნებს საომარ მოქმედებათა თითქმის წინადღეს.

პირველ ყოვლისა, ჟურნალი გვაფრთხილებს, რომ მოულოდნელობათა გარეშე ომი არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობდა რამდენიმე ათასი წლის წინ. ეს ომი დაიწყებაო ინტენსიური დაბომბვით, რომელიც უპრეცედენტო იქნება სიზუსტის მხრივ (ეს მართლაც ასე მოხდა). სამიზნეები იქნებაო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ობიექტები, საკომანდო პუნქტები, ჰუსეინის სასახლეები და რეჟიმის სხვა საყრდენები (ესეც ასე ახდა). სახმელეთო ოპერაციები ან ძალიან მალე მოჰყვება დაბომბვას, ან მის თანადროულადვე დაიწყება. ძირითადი დარტყმა იქნება კუვეიტიდან ჩრდილოეთისკენ, მაგრამ პარალელურად იქნება მოქმედება სამხრეთითაც, ბასრის მიმართულებით (ეს ასეც ხდება). გარდა ამისა (რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა): „ამერიკელი მაღალი თანამდებობის სამხედროები აცხადებენ, რომ უნდა იყოს ჩრდილოეთი ფრონტიც, განურჩევლად იმისა, ხელს აიღებ თუ არა თურქეთის პარლამენტი თავის გადაწყვეტილებაზე, რომ ამერიკელებს არ მისცენ უფლება, ერაყში შეავიდნენ ჩრდილოეთიდან თურქეთის გავლით". საქმე ის გახლავთ, რომ ჩრდ. ერაყი ქურთების მხარეა, რომელთაც თურქები თავის დაუძინებელ მტრებად თვლიან, ამერიკელები კი — თავის პოტენციურ მოკავშირეებად ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ. წინა ნომრებში **THE ECONOMIST**-ს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქურთებს იქ 50-ათასიანი გაწვრთნილი ძალა ჰყავთ, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თურქების შესვლის შემთხვევაში მათ არაფერი დაუთმოს. ჟურნალი წერს, რომ თუ თურქეთმა „თითიც არ გაანძრია", არამედ მხოლოდ გავლის უფლება მისცა ამერიკელებს, ამით ამ უკანასკნელებს უზარმაზარი სამხედრო მოგება ექნებათ: მათი სატანკო ნაწილები შეძლებენ დარტყმას ჩრდ. ერაყში მდებარე მნიშვნელოვანი აეროდრომებისკენ, აგრეთვე უფრო მსუბუქ ძალებით აქ განლაგებული ნავთობის საბადოების დაცვას დივერსიისაგან. მაგრამ ჟურნალი არ გამოთქვამს არანაირ იმედს, რომ თურქეთისგან ასეთი ნებართვა იქნება. ერაყელებმა დიდი

რაოდენობით გაამზადეს ნავთობით გავსებული ორმოები, რათა მისი აალების შედეგად კვამლმა შემტევ მხარეს შეუშალოს ლაზერულ დამიზნებაში (როგორც ეკრანებიდან ვიცით, ეს მეთოდი უკვე ამუშავდა კიდეც). არაა მოსალოდნელი, ჰუსეინმა საზღვრების დაცვაზე იფიქროს. იგი, უფრო, იმას ეცდება, მოწინააღმდეგეს იქ მოუყაროს თავი, ტერიტორიის შიგნით, სადაც მისთვის ბრძოლის გადახდა უფრო ხელსაყრელი იქნებაო. შესაძლებელია, ჰუსეინმა ააფეთქოს კაშხლები ტიგროსსა და ევფრატზეო. კოალიციას ტვირთად დააწვება მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარება. აგრეთვე ტყვეთა მოზრდილი მასის მოვლა, თუ იქნება ასეთი მასაო (ეს, როგორც ვიცით, ჯერჯერობით არ მომხდარა). შესაძლებელია ჰუსეინის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაც და ოფიცერთა თუ მოხელეთა მიერ სათანადო ბრძანების შესრულებაზე უარის თქმაც. ჰუსეინს პრობლემად ექნება არა მხოლოდ შეტევის შეკავება, არამედ საკუთარი ხალხის შეკავებაც. ამერიკელები შეეცდებიან გადატრიალების მოწყობას და ერაყელი სარდლების მიმხრობასაც. ჰუსეინი იძულებული იქნება, ფხიზელი უნდობლობით თვალი ადევნოს ბაღდადელი შიიტების ქცევასაც.

ბაღდადისთვის ბრძოლაში კოალიცია შეეცდება აკურატობას და საკვანძო პოზიციების შედარებით უსისხლოდ ხელში ჩაგდებას, ჰუსეინი, პირიქით, მწარე ბრძოლაზე იქნება ორიენტირებულიო. ეს უკანასკნელი, აგრეთვე ხანგრძლივი ალყა პირდაპირ ეწინააღმდეგება ბუშისა და ბლეირის პრესტიჟის ინტერესებსო. იმაზე, თუ როგორ მოხდება ბაღდადის დაცემა, არსებითადაა დამოკიდებული მსხვერპლის რიცხვი ორსავე მხარეს. ამერიკელები აცხადებენ რბილ მოპყრობას ერაყელი ჯარისკაცებისადმი და განზრახვას, ცეცხლი ფრთხილად აწარმოონ. მაგრამ, ჟურნალის აზრით, დაშენისას სიფრთხილე ძნელია და იგი კიდევ უფრო გაძნელდება, თუ ბრძოლა გახურდა. მოსალოდნელია, ჰუსეინმა სამოქალაქოები ფარად გამოიყენოს (როგორც ადრე უქნია) და ამერიკულ ფორმაში გამოწყობილ თავის ხალხს მხეცობები ჩაადენინოს სიძულვილის გაღვივების მიზნითო. შესაძლებელია ჰუსეინმა იზრაელს დარტყმა მიაყენოს, რაც დიდ ესკალაციას გამოიწვევსო. დასასრულ, ჟურნალი ფიქრობს (და ამაში იმოწმებს ოპერაციის სარდალს გენ. ფრანკსს), რომ ძნელი განსასაზღვრავი იქნება, რა ჩაითვალოს „გამარჯვებად". შესაძლებელია, ჰუსეინმა და მისმა მომხრეებმა გადავარდნის შემდეგაც გააგრძელონ წინააღმდეგობა „თალიბებისებრი" მოქმედების სახით. ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას უფრო წინ დააყენებს ერთგული დესპოტი — თავის პირად ბედს თუ თავისი მემკვიდრეობის (იგულისხმება: ერაყის სახელმწიფოს) ბედს.

რას უპირებენ ერაყს ომის შემდეგ?

ჟ. **THE ECONOMIST** აქვეყნებს ვრცელ მასალას მოკავშირეების გეგმაზე ერაყის მიმართ მას შემდეგ, რაც ჰუსეინს დაამხობენ.

ბუშის სიტყვით ა.წ. 26.II. (რომელიც, რა თქმა უნდა, ამ კრიტიკულ მომენტში მაქსიმალური დიპლომატიური ტაქტით უნდა იყოს გამართული), ნათქვამია, რომ „ერაყელ ხალხს, რომელიც საამაყო მემკვიდრეობისა და უხვი რესურსების პატრონია და რომელსაც განათლებული და კვალიფიციური მოსახლეობა ჰყავს, სავსებით შეუძლია დემოკრატიისკენ იაროს და თავისუფლებაში იცხოვროს". მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ერაყის გარდასახვა ბუნებრივად (თავისით) და ერთბაშად მოხდება! ჟურნალი იმოწმებს ავტორიტეტულ აზრს, რომ ეს რეკონსტრუქცია „ძნელი, რთული და სახიფათო" იქნება. რას ემყარება ეს პროგნოზი? ჯერ ერთი, პანამას, ჰაიტისა და ავღანეთის პრეცენდენტებს, სადაც ასეთი „ტრანსფორმაციის" გზა ია-ვარდით მოფენილი არ აღმოჩნდა. ერაყი ამ მხრივ უფრო რთული ქვეყანააცაა და უფრო რთულ წერტილშიც მდებარეობს. ერაყის სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 20 ათასი ჯარისკაცის მსხვერპლის ფასად შექმნეს ინგლისელებმა. მათ მაშინ უგულებელყვეს „სოფლელ ბელადთა" და ქალაქების სუნიტური ელიტების ძალა და მოინდომეს, ნაუცბათევად, წარმომადგენლობითი ხელისუფლების შექმნა დასავლურ ყაიდაზე. 1920 წელს მოიმკეს ტომთა აჯანყება, რომელიც ძლივს ჩააქრეს „მდოგვისებური გაზის" გამოყენებით. ბრიტანელთა ზურგით შექმნილმა მონარქიამ აღადგინა ძველებური კლასობრივი წყობა და 1958 წლამდე გაძლო. გადატრიალებათა სერია დაადგვირგვინა სადამ ჰუსეინმა. მან შექმნა „კონსოლიდირებული ძალა" ნავთობის ფულის, ცბიერებისა და ულმობელობის კომბინაციით". 1970-იანი წლების დამლევისათვის მან შექმნა „შთამბეჭდავი სახელმწიფო", რომლის მოქალაქეებიც, „ძროხისებრი მორჩილების" სანაცვლოდ, გაბედნიერებულნი იყვნენ მთელი რიგი მუქთი მომსახურეობებით სახელმწიფოს მხრიდან. მისი პარტიის, „ბაასის" იდეოლოგია იყო „არაბული აღორძინება, რომელიც შთაგონებული იყო ევროპული ნაციზმის მიერ". ბაასიზმი აცხადებდა ერაყის ჭრელი მოსახლეობის დარაზმვას არაბული

ნაციონალიზმის დროშის ქვეშ, მაგრამ პრაქტიკულად იგი მოიცავდა ტომობრივ და რელიგიურ წინააღმდეგობებზე თამაშს და უმცირესობათა სასტიკ დათრგუნვას. სადამის ვიწრო ჯგუფი სუნიტი არაბებისგან შედგა. იგი „მითიური გმირის" სახით იქნა დახატული ხალხის თვალში.

დღეს ერაყი „დემოდერნიზებულია" და „სოციალურად დაგლეჯილია". გონებრივი ელიტის დიდი ნაწილი გაქცეულია. სეკულარიზმი (საერო თვითცნობიერება) შესუსტებულია (ანურელიგიურობა გაძლიერებულია) გაკოტრებული „ბაასიზმისადმი" რეაქციის მიზეზით, მაგრამ აგრეთვე იმის გამო, რომ რეჟიმმა რელიგიურ მანიპულირებას მიჰმართა საკუთარი პოზიციის გასაძლიერებლად. სამოქალაქო დაწესებულებებს ნდობა არა აქვთ, იარაღი იაფია. რელიგიური, ეთნიკური და კლანური ერთგულებები გადამწყვეტია. რუკაზე (იხ. ქვემოთ) ვხედავთ დაჩაგრულ შიიტებს სამხრეთში, გაბატონებულ სუნიტებს დასავლეთში, სახიფათოდ ავტონომიურ ქურთებს ჩრდილოეთში. ცოტ-ცოტანი არიან ქრისტიანები, თურქმენები და ასირიელები. 25 მილიონ მოსახლეობაში არის 80-200 ათასი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი (ესენი დაყოფილნი არიან 8 სხვადასხვა ურთიერთგანმმეორებელ უწყებაში), მილიონზე მეტი პარტიული მუშაკი, მრავალი მცირე ინფორმატორი და ხეირის მაძიებელი, 60 ათასამდე შეიარაღებული თვით ჰუსეინის კლანისა და მეგობარი კლანების კაცი, როგორც იძულების იარაღი. მაგრამ სხვა საყრდენი ჰუსეინს არა აქვს. მის პარტიაში შესულნი იქ ანგარების გამო არიან (მაგ. საკონკურსო გამოცდებში მათ შვილებს 10 ქულა ემატებათ). ტომთა ერთგულება სანდო არ არის: მას ჰუსეინი მხოლოდ იარაღისა და „ტოიოტას" ლენდ როვერების დარიგებით ინარჩუნებას.

თუმცა აშშ თავდაცვის მდივნის მოადგილე ვოლფოვიცი იმედოვნებს, რომ ერაყელები კოალიციის შეტევას სიხარულით შეეხვდებიან, როგორც განმათავისუფლებლებს, ჟურნალი მის ოპტიმიზმს არ იზიარებს. თუ უდავოდ ჩავთვლით, რომ გამარჯვება სწრაფი იქნება და მსხვერპლი მცირე, ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს რეჟიმის უშუალო მსხვერპლთათვის და მოსახლეობას ზოგი სხვა კატეგორიისათვის: ქურთებისთვის (4 მილიონი სული), სუნიტი ტომების იმ ნაწილისათვის, რომელსაც მტრული ურთიერთობა აქვს ჰუსეინის მეგობარ ტომებთან, და დაჩაგრული შიიტებისათვის, რომელთაც რეპრესიები არაპროპორციულად ძლიერ შეეხოთ. მაგრამ დანარჩენ ერაყელები თავდახრილ-გასუსულები შეეხვდებიან ყოველგვარ გართულებას, ომის ჩათვლით. მათ ეშინიათ, ჯერ ერთი, ჰუსეინის რეპრესიისა „მოღალატეთა" მიმართ, მეორეც — ამერიკული არსენალებისა, მესამეც — იმ შურისძიების ტალღისა, რომელიც ხელისუფლებაში მომსვლელი ისლამისტების მხრიდან წამოვა სეკულარისტული ბაასისტური ხელისუფლების ყველა ახლობლისა და ახლობლის ახლობლის მიმართ. ბაღდადელ და მოსულელ ვაჭრებს ეშინიათ მოსალოდნელი თავაშვებული ვანდალიზმისა, ძარცვა-გლეჯისა და გავლენის დაკარგვისა. სანამ უსაფრთხოება, თავისუფლება და საკვები რეალურად არ გამოჩნდება, ერაყელთა უმრავლესობა თავს შეიკავებს პოზიციის გამოხატვისაგან თავისი „განთავისუფლების" თაობაზე. თუ ეს სიკეთე დროულად მოვა, ერაყელებს გაუხარდებათ. მაგრამ ეს მაინც არ იკმარებს მათ შესარიგებლად ამერიკელებთან, რომელთა ხელითაც წინა ომში ათასობით ერაყელი ჯარისკაცი მოკვდა და რომელთა ნებითაც ერაყს დღემდე მძიმე ეკონომიური სანქციები ადევს.

ამერიკელებს ნათქვამი აქვთ (ჯერ არაოფიციალურად), რომ გამარჯვების შემდეგ ერაყში დარჩებიან მის აღსადგენად და მისი სახელმწიფოებრიობის ასამუშავებლად, მაგრამ არა დიდი ხნით. არის ვერსია, რომ იქ დარჩება ამერიკელი გენერალი სათანადო მანდატით და 100000 ჯარისკაცით 2-5 წლის მანძილზე. შეიძლება სამოქალაქო მოხელეც დარჩეს. მაგრამ ამერიკელები ვერ გაექცევიან არსებული მმართველი სტრუქტურებისა და კადრების გამოყენებას, რომლებიც ბაასისტურია. მაგრამ ეს პერსპექტივა „აცოფებს" ერაყელ ოპოზიციას, რომელსაც უნდა ერაყი საკუთარი ხელით წაიყვანოს დემოკრატიისკენ და ისე გაწმინდოს ბაასისტებისაგან, როგორც გერმანია იწმინდებოდა ნაცისტებისაგან. ამერიკელები ვერ ხედავენ ამ ოპოზიციაში მართვისუნარიან ძალას და მისდამი მასის მხარდაჭერას. ახლახან ოპოზიციამ შექმნა 14 „კომიტეტი" — „მომლოდინე სამინისტროები" — და მას აქვს ამერიკელთა პირობა, რომ „არ დარჩებიან არც ერთ წუთს იმაზე მეტს, ვიდრე

გაგრძელება მე-6 გვ.

რუსეთის და საფრანგეთის პოზიციისათვის. პატარა დეტალი

ჟ. **THE ECONOMIST** თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელთა და ინგლისელთა პოზიცია ერაყში საბრძოლო მოქმედების დაწყების თაობაზე შეძლებდა გაეროს უშიშროების საბჭოში ხმათა საჭირო მინიმუმის შეგროვებას (9 ხმა), ვეტოს უფლების მქონე მუდმივი წევრები რუსეთი და საფრანგეთი, შესაძლოა, ვეტოს აღარ დაადებდნენ ამ გადაწყვეტილებას. ჟურნალი იმოწმებს იმ გარემოებას, რომ ორივე ქვეყანამ გაცხოველებული დიპლომატიური აქტივობა გააჩაღა, რათა მიეღწია ამერიკულ-ინგლისური რეზოლუციის პროექტის ჩაგდებისათვის ამ უკიდურესი ჟესტის გარეშეც. რეზოლუციის მომხრეთა პოზიციას აძლიერებდა ის, რომ არაბული ქვეყნების ლიგა — ქვეყნებისა, რომელთაც ძალიან აშინებს მათს მეზობლობაში ესოდენ მნიშვნელოვანი ომის პერსპექტივა, — ძალიან აქტიურად მოუწოდებდა ჰუსეინს, ასპარეზი დაეცალა და ერაყი დაეტოვებინა. მათი ხმა, როგორც უკვე ვიცით, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ჟურნალმა ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე იწინასწარმეტყველა, რომ მომავალი ომი არ ემგვანებოდა ერაყის პირველ ომს, როცა მოკავშირეთა სტრატეგიის საყრდენი იყო მასობრივი დაბომბვა და სახმელეთო მძიმე ტექნიკის მოძრაობა. ამჯერად სტრატეგია დაფუძნებული უნდა ყოფილიყო „მთელი სისტემის ჩაგდებაზე უეცარ შოკში", რაც პირველ ყოვლისა მართვის პარალიზაციას გულისხმობს.

რას შვრება ამასობაში ალ-ყაიდა?

(„ამერიკელთა ბერკეტები მოფუნქციე სახელმწიფოებში და მათი ფხიზელი კონტროლი – ვერშემდგარებში“)

როგორც გვატყობინებს **THE ECONOMIST**, ბუშის კრიტიკოსები თურმე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ერაყის ოპერაციამ შეიძლება ამერიკელთა ძალისხმევა მოაცილოს უფრო მწვავე მიზანს — ტერორიზმთან ბრძოლას. ალ-ყაიდას ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიგურის — ხალიდ შეიხ მოჰამედის დაჭერამ პაკისტანის ქალაქ რავალპინდიში ამ ცოტა ხნის წინ ცხადყო, რომ ეს ასე არ არის. მისტერ მოჰამედი, თურმე, თანამონაწილე ყოფილა ყველა ან თითქმის ყველა ძირითადი ქმედებისა, რაც ალ-ყაიდას აქვს ჩადენილი მისი შექმნიდან დღემდე, როგორიცაა: მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება 1993 წელს, საჰაერო ლაინერების აფეთქების მცდელობა წყნარი ოკეანის თავზე, რომელიც გაიხსნა 1995 წელს, ამერიკული საელჩოების აფეთქება კენიასა და ტანზანიაში, თვით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი და, ბოლოს, ამერიკელი ჟურნალისტის დანიელ პერლის მკვლელობა. მისი დაპატიმრება პაკისტანის სამსახურთა მიერ მრავალმხრივაა სასარგებლო: მის შედეგად ავტომატურად ჩავარდნილია ყველა ის დაგეგმილი ოპერაციები, რომლებიც მისთვის ცნობილია, და შესაძლებელი ხდება გასვლა მრავალ სხვა დამნაშავეზე. მაგრამ ვინ დაკითხავს მას? ამერიკელებს აქვთ ტენდენცია, დაკითხვა მიანდონ ხოლმე მეგობარ რეჟიმებს იმ ქვეყნებისას, სადაც ნაკლები დაბრკოლება არსებობს წამების გამოყენებისათვის. იმისა, რომ მისტერ მოჰამედი გამოძიებას ტყუილებით გაბერავს, მაინცდამაინც არ ეშინიათ, რადგან შესაჯერებლად სხვა წყაროებიც მოეძებნებათ სხვა პატიმართა ჩვენებების სახით, მით უფრო, რომ ალ-ყაიდას ოპერაციებს, როგორც წესი, მზადების ძალიან გრძელი პერიოდები აქვს ხოლმე. მეორე მხრივ, შესაძლოა ამ დაპატიმრებამ ალ-ყაიდას მოქმედება დააჩქაროს, მით უმეტეს, რომ ავღანეთის დაკავების შემდეგ ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო უჩინარი გახდა, ვიდრე იყო.



სურ. 1.

ავღანეთზე ამერიკელების დარტყმას ალ-ყაიდა ნატრობდა, რადგან ეს მისი საქმიანობის გაგრძელების დემონსტრაცია იქნებოდა. მაგრამ იგი არ ელოდა ოპერაციის ასე სწრაფ დასრულებას, რის შედეგადაც მის წევრებს თავშესაფრის სასწრაფო ძებნისა და გადარჩენის პრობლემა დაუდგათ. მიუხედავად ამერიკელთა ამ გამარჯვებისა, ალ-ყაიდას მთავარი ფიგურები დაუკავებელნი რჩებიან და ამით ხელი ეწყობა ისლამური წინააღმდეგობის ხატის შექმნას მორწმუნეთა ცნობიერებაში. დღეს დასავლელმა სამსახურებმა მიახლოებითაც კი არ იციან ალ-ყაიდას ზომა. დღემდე დაკავებულია 3 ათასამდე მისი მომხრე (და თობლივი მოქმედების წარსული გამოცდილება აკავშირებთ. მაგრამ ამის გარდა არიან დიდი რაოდენობით ალ-ყაიდას მიერ მომზადებული ჰირები, რომლებიც გაბნეულნი არიან მსოფლიოში და დამოუკიდებლად (ავტონომიურად) მოქმედებენ. მათ ზოგჯერ მოიკითხავენ ხოლმე, დაფინანსებას და მომზადებას სთავაზობენ. ასეთი ჯგუფები, ჟურნალის სიტყვით, არიან „ქაშმირში, ალჟირში, აფრიკის რქაზე, კავკასიაში“. არის საშიშროება, რომ ასეთი ჯგუფები მომავალში იტვირთავენ „ალ-ყაიდას დიდ მიზნებსაც“, და არა ადგილობრივს, რომლებიც, ამ ჯგუფთა ნაკლები მომზადების გამო, შედარებით მცირეა. 11 სექტემბრის აქეთ მსოფლიოში დაახლოებით 100 ამგვარი ტერაქტის ჩაშლა მოხერხდა. მაგრამ რომელ დიდ აქტებს გეგმავს ალ-ყაიდა? თუ მისი მეთოდების შესახებ რაღაცა ვიცით (მაგ. თვითმფრინავების გამოყენება იარაღად და თვითმკვლელობისა — სტრატეგიულ ხერხად), მის შესაძლო ახალ სამიზნეებზე ასეთი ინფორმაცია არ გვაქვს. ვიცით, რომ მისი ქმედებები დიდხნობით მზადდება და ამიტომ მათ შორის დიდი დრო გადის ხოლმე.

სურ. 1.

სურათებზე: 1. ან დაპატიმრებული ხალიდ შეიხ მოჰამედი
2. ალ-ყაიდას ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა ზავაჰირი და ბინ-ლადენი
3. ერაყის, თურქეთის და ირანის ეთნიკური რუკა. ქურთები (ძირითადი ფერი) კომპაქტურად ცხოვრობენ სამსავე ქვეყანაში

სურ. 3

ამერიკელებმა ალ-ყაიდა ერაყში ვერ ნახეს. ეს ალბათ ნიშნავს, რომ ამის მცდელობაში ისინი ბევრ უბედურებას ვერ დაატრიალებენ.

რელიგია ერაყულ პოლიტიკაში

სადამ ჰუსეინი, ისევე როგორც ყველა სხვა ფაშისტი და სოციალისტი (მისი პარტიის, „ბაასის“ პოლიტიკურ მიმართულებას ყველაზე მეტად ამ ორ მიმართულებასთან აახლოებენ ხოლმე), ის კაცია, ვინც თავისი პოლიტიკური კარიერა რელიგიისადმი გულგრილი დამოკიდებულებით დაიწყო. ახლა მას ესმის, რომ რელიგიას პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ერაყის მოსახლეობის ორი მესამედი შიიტი მუსლიმანია, ერთი მესამედი, მაგრამ მმართველი მესამედი — სუნიტი. თვით ჰუსეინი, შთამომავლობითვე, სუნიტია. სპარსეთის ყურის ომის აქეთა ხანას ეკუთვნის ჰუსეინის მიერ შიიტური ამბოხების ჩაქრობა. მაგრამ ახლა ჰუსეინი ცდილობს აამოს ორსავე აღმსარებლობას და კეთილგანწყობისა თუ მიმხრობის ჟესტებს აკეთებს ორივე მიმართულებით. შიიტების პრეტენზია სუნიტებისადმი ისაა, რომ სუნიტმა ტირანმა იაზიდმა თავის დროზე ქ. ქერბალაში (ბაღდადის ახლოს) მოკლა მოჰამედის შვილიშვილი ჰუსეინი და მისი 72 მხლებელი. მისი გლოვის რიტუალი სიტყვებით „შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ“ (უცხო ყურისთვის — „შაჰსეი ვაჰსეი“), როცა მგლოვიარენი საკუთარ სხეულს იჭრიან ბასრი იარაღით, ყოველთვის შესაძლებელია გადაიზარდოს აღტყინებულ დემონსტრაციაში და ძალმომრეობაში სუნიტების წინააღმდეგ. ამიტომ ჰუსეინს ასეთი პროცესიები აკრძალული აქვს და, მიუხედავად შიიტი სამღვდელოების გულმოდგინე ვედრებისა, ჯერჯერობით არ აპირებს აკრძალვის მოხსნას. შიიტების გულის მოსაბრუნებლად მან დიდი ხარჯით აღადგენინა მათი სალოცავები, რომლებიც დაზიანდა ან დაინგრა ზემოხსენებული ამბოხების ჩახშობისას. დღეს ჰუსეინი რელიგიის დამცველის პოზაში დგას და აქცენტს აკეთებს თავის პოლიტიკაში, სხვათა შორის, იმაზე, რაც ორივე ურთიერთმეტოქე აღმსარებლობისთვის საერთოა — ჯიჰადი ანუ საღვთო ომი ურწმუნოთა (არამუსლიმანთა) წინააღმდეგ. თანამედროვე იაზიდად, ანუ ბოროტების განმასახიერებლად, ოფიციალურ პროპაგანდაში ამერიკაა დასახული, ხოლო ჰუსეინის (ლაპარაკია ქერბალაში მოკლულ ჰუსეინზე) ღვაწლის დედაარსად მიჩნეულია ის, რომ იგი ტირან იაზიდს წინააღმდეგობას უწევდა. დღეს ერაყელი შიიტების სარწმუნოებრივ ლიდერს ჰუსეინ სადრს გამოცემული აქვს ფეტვა (განკარგულება რელიგიური ხაზით), რომ მორწმუნეებმა სამშობლო (ერაყი) დაიცვან. იმ პირობებში, როცა უკიდურესი პოზიციის სუნიტები შიიტებს ირანის აგენტებად თვლიან (ირანი ხომ ძირითადად შიიტურია), ამ ფეტვას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება ერაყში (ისევე, როგორც საერთოდ მსოფლიოში. რედ.), ჟურნალის აზრით, არ უნდა გავაზვიადოთ. საბუთად კმარა თუნდაც 1915 წლის მაგალითი (სადამ ჰუსეინის მიერ არაერთხელ დამოწმებული), როცა ერაყში სუნიტებმა და შიიტებმა ერთად აწარმოეს ჯიჰადი ინგლისელების წინააღმდეგ და უზარმაზარი ზარალიც მიაყენეს მათ. ამიტომ ითვლება, რომ „უცხო დაპყრობის შიში საკმარისია ერაყის სექტების გაერთიანებლად“. მაგრამ ფანატიკური ექსტრემიზმის აფეთქების საშიშროება მაინც მუდმივად რჩება ძალაში.

რას უპირებენ ერაყს ომის შემდეგ?

მე-4 გვერდიდან

საჭირო“. ამერიკელთა ორგანიზაციული ამოცანები ურთულესია. ესენია: ასობით დამნაშავე ბაასისტების დაკავება და დასჯა, 400 ათასი სამხედროს და 80 ათასი პოლიციელის დემობილიზაცია და გადასტრუქტურირება ახალ ორგანიზაციად, დაზვერვის ორგანიზაციების გაუვნებლება და „მოვლა“, დღევანდელი რეჟიმის მიმართ სტიქიური შურისძიების აღკვეთა, კანონების გაწმენდა ავტოკრატიული შტრიხებისაგან, სამართალდაცვაში კორუფციის დათრგუნვა, ქურთების შეკავება მათი პრეტენზიების ამოქმედებისაგან ქ. კირკუკის დაკავების თაობაზე, შიიტი „მებრძოლების“ შეკავება, რომლებსაც ზურგად ირანი აქვთ და 23 წელია ოცნებობენ იქაური „ისლამური რევოლუციის“ გადმოტანაზე ერაყში. ამ ღონისძიებებისთვის ფულის შოვნა გაჭირდება. თუ წინა ომში ამერიკელებს მეგობრებმა 54 მილიარდი დოლარი მისცეს, ამჯერად ამ ომის არაპოპულარობა სიტუაციას არსებითად ცვლის. საჭირო თანხებია: თითო მემშვიდობე სამხ. მოსამსახურეზე 250 ათასი დოლარი წლიურად, ჰუმანიტარული დახმარება თითო სულზე — 500 დოლარი წლიურად. თუ მემშვიდობეთა რაოდენობად ვივარაუდებთ 100 ათასს და ჰუმანიტარული დახმარების მაძიებლებად 5 მილიონ სულს (რაც არარეალისტურად ცოტაა), მაშინ ამას დასჭირდება არანაკლებ 50 მილიარდი დოლარისა წლიურად (რაც ერაყის მთლიან ეროვნულ პროდუქტს ერთი-ორად აჭარბებს) და ამდენივე დასჭირდება ინფრასტრუქტურის სრულ აღდგენას. ერაყის სიმდიდრეა ნავთობი, რომელიც მოპოვების დღევანდელი დონით იძლევა 15 მილიარდ დოლარს წლიურად.

ერაყში დემოკრატიის შექმნა, ჩახედულთა აზრით, ძნელია. აქ არ არის საყოველთაოდ გაზიარებული აზრი იმაზე, რაა სამართლიანობა, და კანონის პატივისცემა. ამ პატრიარქალურ საზოგადოებაში ყველანი „პოტენციური სადამები“ არიან, ყველას ჰგონია, რომ შეუძლია ერაყის სახელით ილაპარაკოს. ოპოზიცია ძირითადად აგებულია ტომობრივი პრინციპით და არა პარტიულით. ისლამიზმი ამ ბოლო ხანებში ძალიან მოედო ამ დანარჩენ არაბებთან შედარებით ყველაზე საერო საზოგადოებას და უფრო მეტად მოედება დიქტატურის დაცემის შემდეგ.

ქურთებს ერაყში დამოუკიდებლობის მოთხოვნის ყველაზე მეტი საფუძველი აქვთ. მათი ბრძოლის ისტორია ძალიან ხანგრძლივი და დრამატულია. სადამმა ისინი ულმობელად თრგუნა და ერთი ჩახშობისას 60 ათასი სული გაწყვიტა, აგრეთვე ქიმიური იარაღი იხმარა მათ წინააღმდეგ. დღეს მათ აქვთ ავტონომიურობა, ჰყავთ 80 ათასი ბრძოლისუნარიანი მეომარი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საწადელს მიაღწიონ. მათი პოლიტიკური მოთხოვნები დღეს თავსდება ავტონომიისა და ფედერალიზმის ამა თუ იმ ფარგლებში ერთიანი სახელმწიფოს შიგნით. მათი ზოგჯერ ფარული, მაგრამ დაუძინებელი მონინაალმდეგენი ამ ზრახვაში არიან მეზობელი თურქეთი, ირანი და სირია, რომელთაგან საკუთარი ქურთული მოსახლეობა ჰყავთ და მისგან გამოწვეული საკუთარი მწვავე პრობლემები აქვთ მოსავლელი.

რედაქციისაგან. *დღევანდელ მწვავე ვითარებაში, როცა თურქეთმა დაიწყო ერაყ[illegible] ქურთისტანში თავისი ჯარებ[illegible] შეყვანის მცდელობა, ამერიკელების გარკვეული პოზიცია ამ პროცესისადმი ჯერჯერობით არ ჩანს.*

„მოყვარეს პირში ყძრახე, მტრად გავიხდებაო".
ცხოვრებისეული ანდაზა

ღმერთო, ნათელში ამყოფე დიდი ილიას უსპეტაკესი სული და მომიტევე მე, ცოდვილ ნიკოლოზ იოსებიძეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი შედევრის პაროდირება.

ხაცია-ადამიანი?!

(თანამედროვე ვარიანტი)

რიტორიკაში სწერია: „ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო, ჭეშმარტია. ჩვენც ასე დავიწყოთ". ეს დიდი ილიას სიტყვებია, ჩვენ კი, ასე დავიწყოთ:

გაადამიანების გარიჟრაჟიდან, დღევანდელი ცივილიზაციის სიმაღლეებამდე ადამიანის სულიერება არ შეცვლილა. ადამიანი (დიდი უმეტესობის გამოკლებით) იყო: თავკერძა, თავხედი, ბოროტი, ნაძირალა, მკვლელი და, კაცობრიობის საუბედუროდ, ყველა ეს ნაკლი შეინარჩუნა დღემდე.

დღიდან ადამიანის წარმოშობისა, კაცი კაცს კლავს, რომ მისი მიწა, ქონება-ავლადიდება და თქვენ წარმოიდგინეთ, ცოლიც დაისაკუთროს.

კაცობრიობის ისტორია ხომ ომების ისტორიაა! მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სულ იმის ფიქრში ვარ, რატომ არ შეიძლება, რომ ადამიანებმა მშვიდად და ურთიერთგაგებით იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით, ყოველგვარი შურის, ბოღმისა და მტრობის გარეშე, მხარში დაუდგნენ ერთმანეთს ჭირში, ლხინში, გაულამაზონ და გაუხანგრძლივონ ერთმანეთს სიცოცხლე, რატომ არ შეიძლება, რატომ, რატომ?!

ის, რაც ჩაიდინეს ქართველი ხალხის ნაძირალა წარმომადგენლებმა ჩვენს თვალწინ, არაფრით არ განსხვავდება არც გამყინვარებამდე და არც მას შემდეგ ჩადენილ ბოროტებათაგან. აი, ასეთები იყვნენ ის ნაძირალებიც, რომლებსაც ვერ წარმოედგინათ ადამიანის ორგანიზმში სისხლის ნორმალური მიმოქცევა, სისხლს უნდა ედინა ვილაცის ძარღვებიდან, რომ მისი პატრონის სიცოცხლის ხარჯზე, მავანს „ბედნიერად" ეცხოვრა. მიიხედ-მოიხედეთ რა ხდება ჩვენს ირგვლივ და დამეთანხმებით, რომ ისეთივე კაციჭამიებმა მიითვისეს მთელი საქართველოს და ქართველი ხალხის ავლადიდება. მათი ანალოგი 5%-ის ბაირამობას ეწირება დანარჩენი 95%-ის არა მარტო კეთილდღეობა, არამედ სიცოცხლეც! ამიტომ, დიდი ილიას თქმისა არ იყოს: „ვინც თავის თავზე მიიღებს, ლაფის სროლას დამიწყებს" — ვინც არა და გულს მოიოხებს.

ამისთანა ტრაგიკული შესავლის გაკეთებას, იუმორისტი მწერლისაგან, ალბათ, არც მოელოდა მკითხველი, გაოცდება კიდეც, რამ „გააბოროტა" ასე ნიკოლოზ იოსებიძეო. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ ძვირფასებო, მე მხოლოდ ცუდი, ეგრეთწოდებული ადამიანები გამოვაჭენე შარაზე — ილიასებურად.

მაშ, ასე, დავიწყოთ:

კარგი რამ იყო ყურუმსაღ თავლაფიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ, ზემო წყნეთის უმშვენიერეს, ნახევარსაუკუნოვან ფიჭვნარში გამოკაფული ერთ ჰექტრამდე ფართობი და შიგ ჩადგმული სამსართულიანი, ევროპული ყაიდით ნაშენები უმშვენიერესი სახლი აივნებითა. „აი, ის სართულები რა ფერისა იყო": ქვეშ იყო მარანი, ძვირფასი ქვით მოპირკეთებული კედლებითა და იატაკითა. ჭერში ჩამოკიდებული უშველებელი ბროლის ჭაღითა, კედლებზე ბრებითა და ინგლისური ბუხრითა. შუაში დადგმული ჩუქურთმებით შემკული კაკლის ხის მაგიდითა და სკამებითა, უძვირფასესი ჭურჭლით გამოტენილი კარადითა. კუთხეში იყო უმშვენიერესი ხვეული კიბე წაბლის ხისა, რომელიც მარანს აკავშირებდა ყველა სართულთანა, სართულები გამოტენილი იყო ათასგვარი ავეჯითა, უკანასკნელი მოდის ტელევიზორებით, ვიდეო აპარატურითა და სხვა ათასგვარი ნივთებითა. სამთავე სართულზედ ულამაზესად ნაკეთები ბუხრები მეტს ლაზათს აძლევდნენ აქაურობას.

გემოვნებით გაფორმებულ ეზო-კარმიდამოში მანქანის სადგომი აეშენებინა მის პატრონსა ძვირფასად, რომელშიცა სამი მანქანა ეტეოდა. ერთი თავისთვინა — „ლენდროვერი", „ბმვ" — ცოლისთვინა და ერთიც „ვოლკვო" — ჭიპიჭყეტია, კეკლეულჭია ერთადერთი ქალიშვილისთვინა.

არ გეგონოთ მკითხველნო, რომ ამოდენა ქონება, ერთს ვისმე პატიოსანს კაცს დიდი შრომითა და გარჯვით შეეძინოს. ყურუმსაღ თავლაფიძემ, ჯერ კომუნისტური მანდატის მეშვეობით რპარა ხალხის და ქვეყნის ქონება, მერე „სამშობლოს სიყვარულით გულანთებული" კაცი „განმათავისუფლებელ" ბრძოლაში ჩაება, თავისნაირ „პატრიოტებთან" ერთად და „გაათავისუფლეს": ბანკები, სალაროები, ხაზინა ფულებიდანა. ფაბრიკა-ქარხნები მამასისხლად შეძენილი დაზგა-დანადგარებისაგან, საიუველირო მაღაზიები „ზედმეტი" ძვირფასეულობისაგან და მტერს რომ არ მიეთვისებინა, თვითონ გაზიდეს სახლებში და უცხოეთის ბანკებში...

„დიაღ, ამ მშვენიერ სახლ-კარში ქართველი კაცი იდგა". აქ ცხოვრობდა ტკბილად და აუმღვრევლად ორმოცის წლის, კბილებამდე შეიარაღებული პარლამენტარი ყურუმსაღ თავლაფიძე, თავისი გათქვირებული მეუღლით ხათუნათი და ბალტიისპირეთიდამ ჩამოყვანილი, დოლარებზედ ნაყიდი ნაბიჭვარი ქალიშვილით — მაკათი.

ვერ უშველა თავლაფიძეების ოჯახს ვერც ათასგვარი ჯადოების მოხსნამა, ვერც ექიმბაშების წამლობამა და ვერც თელეთის სალოცავში ლოცვამა. რიგაში კაცი აფრინეს და ფეხის ფრჩხილებიდან თმისძირებამდე ბამბასავით თეთრი ბალღი ჩამოაყვანინეს. ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმის ყაიდაზე ლამაზად შეკრული აბრეშუმის საბანშია. ის ღლაპი იყო ოჯახის სიცოცხლეც, სიხარულიც, სიყვარულიც და ცხოვრების აზრიცა. მართალია, თავისი ქერა თმითა, წარბ-წამწამითა, პაჭუა ცხვირით, კანის ფერითა და გენური თვისებებით სულაც არ ჰგავდა თავლაფიძეებს და ბოზანდარიშვილების არც წინაპრებს და არც მათ შთამომავლობას, მაგრამ სწავლაში მეტად მუყაითი, აკურატული და ევროპული ყაიდის ბოგო გაიზარდა, თუმცა ნამეტნავად გულცივი და თავკერძა.

ყურუმსაღ თავლაფიძე გახლდათ „კარგად ჩასუქებული, მრგვალი — უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზე — როგორც კარგი ნასუქი კურატი". თავი ისეთი მსხვილი ჰქონდა, რომ პარლამენტში ატეხილი ჩხუბის დროს ნასროლი ბოთლი იყო თუ სხვა რამ ნივთი, აუცილებლად მას ხვდებოდა ხოლმე. პარლამენტში მის მოვალეობას შეადგენდა ჩვეულებრივი წყლის ნაყვა და „ბორჯომის" წყლით წუწაობა. მისი ერთადერთი დადებითი თვისება ის იყო, რომ სხდომების მიმდინარეობისას არ ხვრინავდა. ძილით კი ყველას ეძინა მშვიდად და უდარდელად. ყველას და ყველაფერს მხარს უჭერდა, არ კამათობდა, არ ინტრიგანობდა, რის გამოც დიდ პატივს სცემდნენ როგორც რიგითი წევრები, ასევე თავმჯდომარეც და პრეზიდენტიცა.

„სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა, რომ ჰქონოდა, არც ეგრე მსუქანი იქნებოდა" და სხვა სწავლულებივით უკიდურესად სიდუხჭირეში იცხოვრებდა. ჩვენი ყურუმსაღი „მგონი თვითონაც ბევრს არ იცემდა თავში — რატომ სწავლა არა მაქვსო", მით უმეტეს, არც დანარჩენ პარლამენტარების დიდ ნაწილს უსკდებოდა თავი ცოდნითა და არც მათ ფერშლის დიპლომიან პრეზიდენტსა.

მეუღლე ხათუნა ბოზანდარიშვილი, ქალწულობაშიცა და შემდგომაც, სანამ მისი ქმარი პატიოსანის შრომით 120 მანეთად აცხოვრებდა ოჯახსა, მეტად სანდომიანი სანახავი იყო. როცა ყურუმსაღს შუბლის ძარღვიანი ძმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უმუშევარი „დავითი სიხარულით აღარ არის", რომ ვითომ ყურუმსაღი პარლამენტიდანაც გამოაპანღურეს, ბიზნესშიც „გადააგდეს" და ცოლშვილიც გაუბოზდა. „დადის დავითი ყველგან და სულ იმას გაიძახის: — ეს ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს", რომ მისი აგარაკებიც, საირმის გორის სასახლეც, მანქანებიც და შვეიცარიის ბანკში შენახული მილიონებიც მე დამრჩესო. „ჯავრი მოსდის, გული ყელში ეჭედება. რა ქნას? — „ღმერთო! — ამბობს სიზმარში გულნატკენად ყურუმსაღი — რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ დავითის დასაცინი გამხადე? — თუ იმას მემდური, რომ უკიდურეს გაჭირვებაშია და არ ვეხმარები, უნდა მაპატიო, იმიტომ, რომა, მაგის გარდა, მოხუცი მშობლებიცა მყავს, რომლებსაც 3 წლის პენსია არ აუღიათ და უმუშევარი, ქმარ-შვილიანი დებიცა. მე რომ ყველას დავეხმარო, განა კიდევ ასეთს ფუფუნებაში ვიცხოვრებ. ეყოჩაღათ თვითონაც, მიეტაცებინათ ქვეყნის ქონება და ისინიც კარგად იცხოვრებდნენ. იქნებ იმიტომაც გაუწყდა, აი მაშინ გადაუგვარდათ სხეულის ფორმა ერთსაცა და მეორესაცა. ახლა იმ სიმსხო იყო ქალბატონი ხათუნა, სამასალედ რომ დაეხერხათ, ერთი გურული ოდა აშენდებოდა თავისი ფეხსადგილითა და ნალიითა.

ქალიშვილი მაკა, გადაპრანჭული, თვალ-წარბ-წამწამ დახატული, ნახევრად შიშველი დადიოდა სასწავლებელში. მამამისი სულ ერთთავად ეუბნებოდა: — შვილო ჭიპიდან ადვილად ცივდება ადამიანი, ინსტიტუტში რომ მიდიხარ, ტანზე ჩაიცვი და შინ რომ მოხვალ, მაშინ გაიხადეო. მაგრამ საქმეში ხარ?! იმის ნალაპარაკებს ყურში რომ შეუშვებდა, ჭიპიდან გამოუშვებდა ხოლმე.

როცა დედა-შვილი გარდერობის გასაახლებლად და თმების შესაჭრელად პარიზში მიფრინავდა საკუთარი თვითმფრინავით, მაშინ ატყდებოდა ხოლმე ოჯახში ერთი ორომტრიალი.

— ქალო, რამდენჯერ უნდა გითხრათ შენ და შენს ქალიშვილს, არ მომწონს ეს თქვენი ფრანგული ვარცხნილობა და ჩაცმულობა, ახლა ლონდონში წადით! — უჯავრდებოდა ყურუმსაღი, მაგრამ, შეაყარე კედელს ცერცვი...

„მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რა საკვირველია მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც წყალში გადავარდნა" — იმიტომ, რომ თქვენს იმდენს უბედურებას და უსამართლობას ხედავთ თქვენი თვალითა, რომ აღარ ვცანი საჭიროდ კიდევ უფრო მუქ ფერებში ამესახა, ისედაც უფსკრულის ფსკერზე მდებარე ქვეყნის მდგომარეობა.

ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ცოლ-ქმარმა „კურიერსაც" უყურა, გვახარიას მიერ „ფსიქოს" პროგრამით შეთავაზებულ სექს ფილმსაც, რომელშიც მამამ საკუთარი ქალიშვილი გააუპატიურა და სიდედრი მხოლოდ იმ მიზეზით გადაურჩა, რომ შინ არ იყო, რბილ სავარძელში ჩამჯდარ ყურუმსაღს ტკბილად ჩაეძინა „და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი, თავისებური ხვრინვა ამოუშვა. ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ნახა". ესიზმრა, რომ თავისი ალალი, მრავალშვილიანი ქმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უმუშევარი „დავითი სიხარულით აღარ არის", რომ ვითომ ყურუმსაღი პარლამენტიდანაც გამოაპანღურეს, ბიზნესშიც „გადააგდეს" და ცოლშვილიც გაუბოზდა. „დადის დავითი ყველგან და სულ იმას გაიძახის: — ეს ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს", რომ მისი აგარაკებიც, საირმის გორის სასახლეც, მანქანებიც და შვეიცარიის ბანკში შენახული მილიონებიც მე დამრჩესო. „ჯავრი მოსდის, გული ყელში ეჭედება. რა ქნას? — „ღმერთო! — ამბობს სიზმარში გულნატკენად ყურუმსაღი — რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ დავითის დასაცინი გამხადე? — თუ იმას მემდური, რომ უკიდურეს გაჭირვებაშია და არ ვეხმარები, უნდა მაპატიო, იმიტომ, რომა, მაგის გარდა, მოხუცი მშობლებიცა მყავს, რომლებსაც 3 წლის პენსია არ აუღიათ და უმუშევარი, ქმარ-შვილიანი დებიცა. მე რომ ყველას დავეხმარო, განა კიდევ ასეთს ფუფუნებაში ვიცხოვრებ. ეყოჩაღათ თვითონაც, მიეტაცებინათ ქვეყნის ქონება და ისინიც კარგად იცხოვრებდნენ. იქნებ იმიტომაც დამსაჯე, ამას წინათ მეზობელმა შალიკომ 10 ლარი რომ მთხოვა სესხად და არ მივეც — ხელფასი არ ამიღია-მეთქი. აკი გითხარი, უფალო, — მე რომ ყველას გავუნაწილო ჩემი „ალალი შრომით" შეძენილი ქონება, რაღა ვირის თავ-ფეხი დამრჩება?!

„ეგრე უჩიოდა ყურუმსაღი ღმერთს სიზმარში". მერე ნახა, რომ, უეცრად ავად გახდა, ვითომ მოკვდა კიდეცა, მაგრამ ისე მოკვდა, რომ ყველაფერს გრძნობს, ესმის, რომ იქით, სადღაც კუთხეში დავითი და მისი ცოლი იციანიან, ხტიან და ყურუმსაღის ავეჯეულობა თავის სახლში მიაქვთ", მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და შვეიცარიის ბანკებში შენახული მილიონები დავითმა ჩაიგდო ხელში. ყურუმსაღს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და იმიტომ არ დგება". — „ვაი, რა დროს მოვკვდი!" როცა ცხოვრება ოთარ რამიშვილის გიტარასავით ავაწყე! — „ახ, ნეტავი ახლა კი გავცოცხლდე და!.. მაგრამ სად არის გაცოცხლება?". აი, 1000 დოლარიანი ფირმა-კუბოც მოიტანეს, აი, ჩაასვენეს კიდეცა, ასწიეს კუბო და წაიღეს სასაფლაოზედ. უნდა თქვას: „ნუ დამმარხავთ, მე ისედაც ცოცხლად დამარხული ვიყავ, როგორც ხალხისა და ქვეყნის მოღალატე, როგორც არაკაცი და ნაძირალა", მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. „აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ყურუმსაღი, აი, მიწაც მიაყარეს, ყველანი წავიდნენ და მარტო საფლავში დააგდეს დაფლული. გული ამოუჯდა, დაიწყო ტირილი. მოესმა, რომ დავითი და მისი ცოლი უყვირიან ზემოდან — ჩაძაღლდი განა? ახლა კი გული აენთო; ერთი საშინლად გაინძრა, იხტუნა, ვითომ საფლავიდან ამოხტომა უნდაო" და უძვირფასესი შვეიცარიული სავარძლიდან, იტალიურ პარკეტზე ბრაგვანი მოადინა, რომელზეც კიდევ კარგი, რომ სპარსული ნოხი ეფინა, თორემ ღმერთმა უწყის რას დაიზიანებდა. „მაშინ კი თვალები დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშის ზარი უსევ უბზუოდა თავში. ამის დაცემაზე ოთახი, რა საკვირველია შეინძრა". ხათუნას თურმე, იქეთ არაბულ ტახტზე ჩასძინებოდა და ოთახის ზანზარზე ამასაც გამოეღვიძა. რომ დაინხა ოჯახის მამა-მარჩენალი შიშისაგან პირდაფჩენილი და იატაკზედ გაშხლართული, თავში შემოიკრა ხელი.

— უი, შენს ხათუნასა! ეს რა დაგმართნია, შენ გეთაყვანოს ჩემი გასიებული თავი?! ხათუნას თვალწინ დაუდგა: მეუღლის სიკვდილი, უდროოდ დაქვრივება, სიღარიბე, უშუქობა, 14 ლარ პენსიაზე დაჯდომა და წაიშინა თავში ხელები. ის-ის იყო, მეზობლებისათვის უნდა დაეძახა მიშველეთო, მაგრამ გაახსენდა, რომ ყველასთან პირშავად იყო და გადაიფიქრა. ამასობაში ყურუმსაღიც გამოვიდა მდგომარეობიდან, გაღიმებული წამოჯდა, აქვითინებულ ხათუნას მიუალერსა და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა, რაც სიზმარში გადახდა. ხათუნამ მწუხარების ცრემლს სიხარულისაც მიუმატა და დიდხანს ხარხარებდნენ ორთავენი მთელი ძალითა.

ყურუმსაღი მძიმე-მძიმედ წამოიმართა და ისევ იმ ფუმფულა, ტყავგადაკრულ სავარძელში ჩაეშვა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ „კატაპულტირება" მოახდინა. გამობუტურებულ თავსა და კუჭში ერთდროულად იგრძნო სიცარიელე და ხათუნას მიუბრუნდა.

— ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? გეყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

— რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს ხათუნა! ღვთის წყალობით ბევრი გვაქვს! — მაცივარი ისეა გამოტენილი ნაირ-ნაირი საჭმელებითა, რომა, კარს რომ ვაღებ, გარეთა ცვივა.

— მაინც?

— სადილიდან დარჩენილი კაი ცივად ფინური ძროხის ხორცი გვაქვს, გერმანული ძეხვები, კარგი ინგლისური ღორის სუკები, ზურგიელიცა გვაქვს ასტრახანული და ორნაირი ხიზილალაცა.

— „უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემა, რადაც უნდა ჰლირდეს"!... ზურგიელიც კარგია და ხიზილალაცა. აი ძეხვები, გერმანული კია, მაგრამ ჯერ დედაშენს აჭამე, თუ არ მოინამლა, მერე ჩვენცა ვჭამოთ. სხვა?

— ჰოლანდიური ყველი, თურქული პური და კეთილი გული.

— ზედაც ორი-სამი ფინჯანი ცეილონის ჩაი, თურქული შაქრით დამტკბარი, უჰ, უჰ, უჰ! შენმა მზემ, ჩვენისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება.

— „ესეც ვახშამი, ღვთის მადლით გადავაგორეთ, ხვალ რაღა ვჭამოთ?".

— „ერთი კარგი ჩიხირთმა?" — ბულგარული ან ესპანური ქათმისაგან დამზადებული, „ტექსუნში" შემწვარი „სადიას" ბარკლები, ავსტრალიური ცხვრის ბოზბაში...

— ხათუნა, შენს კაი ქალობასა, ბოლოს რაც ჩამოთვალე, ეგენი დედაშენს აჭამე, ჩვენ კიდევა, რესტორანში ვისადილოთ, რას იტყვი, ჰა?!

— როგორც გენებოს, შენი სულისა, ოჯახის უფროსი ხარ და ნებაც შენი იყოს.

„ოცი წელიწადია თურმე, რაც ყურუმსაღი და ხათუნა ერთ უღელში შებმულან და ერთი ბედის კალთის ქვეშ ამოფარებულან. საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა". ჯერ ყურუმსაღი თავის მშობლებთან ცხოვრობდა, როცა ოცი წელი შეუსრულდა და არც ფიქრობდა ცოლის შერთვასა, ვინაიდგან ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო, თანაც სახანძრო-სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის უქნარა სტუდენტი. არც ყოველდღიური ჯიბის ფული ჰქონა და არც სიგარეტის საყიდელი. რომ იტყვიან: „ბედი მომეც და

გაგრძელება მე-7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაკია-ადამიანი?!

მე-6 გვერდიდან

სანაგვეზე გადამაგდეო", ისე მოუვიდა ყურუმაღლაც. ერთ მდიდარ ოჯახში, მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, 8 წლითა და 7 თვით უფროსი, მაგრამ ნაქურდალ დოლარებში „ჩამხრჩვალი" ოჯახის ქალიშვილი — ხათუნა ბოზანდარაშვილი. აქ ქალიშვილი სიტყვის მასალად ვიხმარე, თორემ, ხათუნა დიდი ხნის „გავირიშვილებული" იყო, თანაც ორჯერ განათხოვარი და „მომქმედი" ბოზი, ისეთი, რომა, ცნობილმა გინეკოლოგმა ფაჩუაშვილმაც ვერ აღმოუჩინა დახმარება ბალღის გაჩენაში. მიუხედავად მეუღლის ამ „უმნიშვნელო" ნაკლისა, ყურუმსაღი ბედნიერად გრძნობდა თავსა. მანამდე თუ სიდუხჭირეში ძვრებოდა სული, ჯვრისწერის შემდგომ, ყველაფერი თავსაყრელადა ჰქონდა. დაწყებული ნაირ-ნაირი ფეხსაცმელ-ტანსაცმელითა და „მერსედესით" დამთავრებული. კომუნისტური მანდატით ნაქურდალ ფულებში „შეახვია" ყურუმსაღი სიმამარმა, მეტსახელად „წურბელა კოლამა". „წურბელას" დიდი გამოცდილება ჰქონდა ფულის ხვეჭისა და აკი სიძეც დააყენა „სწორს გზაზედა". ისე გაიწაფა ყურუმსაღი, ძარცვა-ყვლეფაში, „შავი ფულის" გათეთრება-დატრიალებაში, რომა საშვილთაშვილოდ გაიმაგრა ზურგიც, წელიც და ხერხემალიცა. ამასობაში პუტჩიც მოაწყვეს „საქართველოს განმათავისუფლებლებმა" და როგორც ერთ-ერთი აქტიური მონაწილე პუტჩისა, პარლამენტშიც „გაიჩითა" და გვარიანი ბიზნესიც ააწყო შვეიცარული საათივითა. მართალია, მისი შპს („შენს პატრონს საციხეს") საწარმოს გამოშვებულ ძეხვებზე ამბობდნენ ტუალეტის ქაღალდისგან აკეთებენო, მაგრამ კომპეტენტურმა, ანტიკორუფციულმა კომისიამ დაადგინა, რომა ხორციც ერია შიგა.

„აღარ გაათავებ? — მკითხავს მოწყენილი და იქნებ გაჯავრებული მკითხველი. — როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით, რითა? იმითი, რომ ყურუმსაღის ბედნიერება დაირღვევა. მაშ, რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზე? — დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი".

— დარღვეულიცა ვართ, გაქურდულ-გაბანდიტებულიც, გაბოზებულ-გაპედერასტებულიც, გალოთებულიცა და გამათხოვრებულიცა — იტყვის თვალცრემლიანი მკითხველი, მაგრამ საშველი? საშველი რომ არა ჩანს! არც გამოჩნდება, ჩემო დამონავებულ-გამანქურთებელო მკითხველო. იმიტომა, რომა, სახელმწიფოს (ბოდიშს ვიხდი, არშემდგარი სახელმწიფოს) მეთაური იმდენად დიდი პოლიტიკოსია და ისე მიჰყავს ქვეყანა აღმავლობისაკენ, რომ ჩვენისთანა „ბრბო" ამას ვერ ამჩნევს, აი, სხვები კი ამჩნევენ და აკი გვასულდგმულებენ კიდეცა ფანტასტიკურად დიდი ვალებითა, ჰუმანიტარული დახმარებითა და იმის იმედებითა, რომა, თუ ჩვენ, როგორც სახელმწიფო, აღარ ვიარსებებთ, აღარ გვექნება ეს აკვიატებული ეროვნულობა, მართლმადიდებლური სარწმუნოება, მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, სულ მოკლე ხანში ფუფუნებაში ვიცხოვრებთ.

ეს გადახვევა, შენი ბრალია, ჩემო „ელიტისაგან" იგნორირებულო მკითხველო, თორემ, მე რამდენი ხანია, გავათავე თავლაფიძეებისა და ბოზანდარაშვილების ისტორიის ძირითადი მომენტების მოყოლა.

„გაიარა რამდენიმე ჟამმა და წუთისოფლის დაუდგრომელმა ზრუნვამ ბევრი რამ შეცვალა დედამიწის ზურგზე". გაბეჰემოთებულმა ხათუნამა, რომელსაც ღაბაბი მკერდზედ ედო და. მუცელი მუხლის თავებზე, წონაში დაკლება მოინდომა. „ერთი აქმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო". აქიმმა დედაკაცმა რაღაც წამალი მისცა, ორ კვირაში 77 კილო და 400 გრამი დაიკლო, მაგრამ მესამე კვირის თავზედ გამხდარ-გალაბანებულმა და გატანკენარებულმა ხათუნამ „ფეხები გაჭიმა". „დარჩა ქვრივად საწყალი ყურუმსაღი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავის ბედნიერება სულ ხათუნასთან დამარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი „მადა", მეორე ალკოჰოლი. დღე ისე არ გავიდოდა, რომ უგონოდ არ დამთვრალიყო. ამასთან ერთად ანაშასაც მიეძალა. ქონების დიდი ნაწილი რესტორნებში, ბარებსა და კაზინოებში გაფლანგა. მიუხედავად ძველებური მადისა და ხვავრიელი ჭამა-ყლაპისა, გახდა, „პატიოსანი ფაშვი ჩამოებერტყა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა. ის დიდრონი, ძროხისოდენა თვალები უგემურად მიელია და ნაღვლის ფერი გაუხდა, სამკეცი ღაბები გუდა ლეღვივით დაუჭკნა, მუდამი ღიმილი სახიდან დაეკარგა. — ერთი სიტყვით, წახდა კაკალი კაცი". ასე იცის ღვიძლის ციროზმა. „ბოლოს, ფერიცვალების დღეს (რა კარგი დამთხვევაა ყურუმსაღის ფერისცვალებასთან!), რაღაც ეშმაკად ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა" ფალსიფიცირებული არაყი მოართვა. ჯავრისაგან ის არაყი, 4 ბოთლი, რომელიღაც „კარგი ლუდი" და ორი კილო „ცოცხალი" მიაყოლა ორ შოთა პურთან ერთად, მიიძინა და „ჩაბარდა პატრონსა".

რაც შეეხება თავლაფიძეების ერთადერთ ქალიშვილ მაკას, თინეიჯერობის ასაკშივე აუჩუხჩუხდა ევროპული სისხლი. ჯერ იყო და, მეხუთე კლასიდამ სიგარეტის წევას მიჰყო ხელი. მერე ნელ-ნელა სხვა გამაბრუებელი საშუალებებითაც ირთობდა თავსა. არც შამპანურზე ამბობდა უარს და არც სხვა სიამტკბილობაზედ. მშობლებისგან გათამამებამაც შეუწყო ხელი და საშუალო სკოლადამთავრებულმა, არა მარტო ხელგაშლილ, „ფეხგაშლილ" ცხოვრებასაც მიჰყო ხელი. რაც ყურუმსაღს გადაურჩა, ახლა მაკა შეუდგა იმ ქონების განიავებასა და აკი დაიყვანა კიდეც ნელ-ნელა ყუაზედ. ბოროტი ენები ამბობენ, რომა წყნეთის აგარაკიც, მანქანებიც და სხვა ავლა-დიდებაც კაზინოში წაუგია. დღესდღეობით საირმეზე მამამისის აშენებული სახლიღა დარჩა, რომელშიც სულ ჭრელ-ჭრელი ხალხი მიჰყავს და ბედნიერადა ცხოვრობს.

„აჰა, ახლა კი გავათავე, ჩემო მკითხველო! „ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდე".

ლუარსაბ თათქარიძის, ყურუმსაღ თავლაფიძის, კნეინა დარეჯანის და ხათუნა ბოზანდარაშვილის პროტოტიპთა სიუხვით გულგახეთქილი

ნიკოლოზ იოსებიძე

„ეროვნული მოძრაობის ბირთვი აკაკი წერეთლის ლიტერატურულ იყო ეროვნული და ეროვნულ-დემოკრატიული"

(ერთი შეკითხვა ნოდარ ნათაძეს)

ნინო კუკულაძე — ბატონო ნოდარ, თქვენ როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, დიდი და სერიოზული ურთიერთობა გქონდათ აკაკი ბაქრაძესთან. სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელი იყო. რას გვიამბობთ ბატონი აკაკის შესახებ?

ნოდარ ნათაძე — უნივერსიტეტში ერთ ნაკადში ვიყავით მე და კაკო — იგი ისტორიულზე, მე ფილოლოგიურზე. უნივერსიტეტის შემდეგ, პირველ წლებში იშვიათად ვხედავდი ხოლმე. მაგრამ მერე, სადღაც 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, იგი კარგად გაიცნო საზოგადოებამ. კაკომ პირდაპირ დაიწყო უკვე ძალიან ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და იმიტომ.

კაკო იყო რუსთაველის თეატრის დირექტორი. ეს ის დროა, როდესაც შევარდნაძე ცდილობდა, კაიკაცობა ეჩვენებინა და ამიტომ შიგადაშიგ, ხაზს ვუსვამ — შიგადაშიგ კარგ ადამიანებს ნიშნავდა მნიშვნელოვან ადგილებზე. კაკოც ასე დაინიშნა მნიშვნელოვან ადგილზე. აკაკიმ, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებლობა გამოიყენა: უფრო ფართო ასპარეზი მისცა თავის იდეებს. ყველასათვის ცნობილია, რისი გაკეთებაც შეძლო მან რუსთაველის თეატრში.

70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში



იგი ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის თანამშრომელი არ იყო, მაგრამ დიდ აუდიტორიას აძლევდნენ კვირაში ერთხელ და აი, აქ კითხულობდა საჯარო ლექციებს პოლიტიკურ საკითხებზე. აუდიტორიას ესაუბრებოდა იმ პროცესებზე, რომლებიც ხდებოდა საქართველოში მე-19 საუკუნეში (ილია ჭავჭავაძის დროს), მე-20 საუკუნის დამდეგს... ამ ლექციებზე იგი კარგად ხსნდა რუსეთის გამანადგურებელი პოლიტიკის არსს საქართველოს მიმართ. ხსნიდა პრინციპულად, ასე ვთქვათ, უკანდაუხევლად, რეალურად, პატიოსნად და ღრმად. ისტორიკოსი იყო კაკო და ისტორიული პროცესები არათუ ძალიან კარგად ესმოდა, არამედ გრძნობდა კიდეც, ამის ინტუიცია ჰქონდა. საინტერესო მოლაპარაკე იყო და ძალიან დიდ აუდიტორიას იზიდავდა. ეს აუდიტორია, შეიძლება ითქვას, გარდა იმ აგენტურისა, რომელიც იქ დადიოდა საერთოდ, ჩვენს მხარეზე დგებოდა, ჩვენს პოზიციაზე დგებოდა. ასე რომ, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობის ბირთვი, კადრი, ძალიან დიდწილად კაკოს ამ ლექციებზე იყო გამოღვიძებული, თვალახელილი, გამოზრდილი და გამობრძმედილი.

ძალიან კარგად მახსოვს 1978 წლის 14 აპრილი. რა მოვლენაც იყო, ალბათ, თქვენც კარგად იცით. აი, მაშინ ერთადერთი კაცი, ასე ვთქვათ, სახელისუფლებო ნომენკლატურაში, უბრალოდ თანამდებობრივ ნომენკლატურაში, რომელმაც იქიდან გამოიტანა სწორი ამბავი, რა ხდებოდა, იყო კაკო. მისგან გახდა ძალიან ბევრი რამე ცნობილი; იმ მასობრივი აქციისათვის, რომელიც მაშინ მოეწყო, ადამიანთა მობილიზაციაში კაკოს ინფორმაციამ, კაკოს პიროვნებამ, კაკოს კონტაქტებმა და კაკოს მოქმედებამ ძალიან დიდი როლი ითამაშა.

ერთს გეტყვით, რომელიც შეიძლება არ იცით. აი, ეს სტუდენტური დემონსტრაცია რომ წამოვიდა ვაკიდან და რუსთაველის თეატრამდე მოაღწია, იქ ხუთი ათასი კაცი იყო დაახლოებით, მაშინ, — ცხადია, ციკა, ტეკა, ალკა-ს ბრძანებით, სხვანაირად ეს ვერ იქნებოდა, — მთელს რუსთაველზე, ყველა დაწესებულებაში კარები იყო ჩაკეტილი. რატომ? რომ მომხდარიყო დარბევა, არავინ გადარჩენილიყო. აი, ასეთ დროს ერთადერთი კარები იყო მთელს რუსთაველზე ღია. როგორ გგონიათ, რომელი კარები იყო ეს? რუსთაველის თეატრის კარები! სხვა კარები ყველა დაკეტილი იყო, უულებლივ. აი, ამის მომსწრე, ამის მნახველი მე ვარ ჩემი საკუთარი თვალებით. ამას გეუბნებით იმიტომ, რომ ვგულისხმობ, სხვამ არ იცის. არადა, ეს ყველამ უნდა იცოდეს!

აკაკი კომუნისტების უკანასკნელი უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო — ერთადერთი კაცი, რომელსაც არა მარტო სწორი ამბავი გამოჰქონდა, არამედ იქ რაღაცა მოქმედებაც შეეძლო. მერე მეც მოვხვდი იქ, გამოკლებული დეპუტატის მაგივრად ვიყავი არჩეული და ყველანაირი სიტუაცია უკვე საკუთარი თვალით ვნახე. 1988-ში ძალიან ბევრი რაიმე გვჭირდებოდა ჩვენ უზენაესი საბჭოსაგან, — იმდენად კარგი არა, რამდენადაც — ცუდის არგაკეთება; საბჭოს ბევრი ცუდის გაკეთება შეეძლო, ბევრი სისაძაგლის ჩადენა შეეძლო, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაასამარებდა, ჩვენი მიზანი იყო, მას ესენი ვერ გაეკეთებინა. აი, იქ ერთადერთი ჩვენი საყრდენი იყო კაკო, ერთადერთი. რა თქმა უნდა, კარგად არასდროს ეკიდებოდნენ, ყოველთვის ჩუმ-ჩუმად რაღაც სისაძაგლეს უწყობდნენ, მაგრამ კაკო იმდენად ტაქტიანი კაცი იყო, იმდენად კეთილგანწყობილი სულის სიღრმემდე, რომ ძალიან ძნელი იყო მისთვის რაღაც ბრალი მიეწერათ, რაღაც პროვოკაციის მოწყობა მოენდომებინათ. მონდომებაც კი ძნელი იყო. ასე რომ, ამ მიმართულებით კაკოს სიკვდილამდე ვერაფერი დაუშავეს. მაგრამ უკვე გასვენების დროს გამოგზავნეს შენიღბული მოციქულობა — ხელით ნუ მიასვენებთო, წადით, გაგვეცალეთო. მაგრამ არავინ გასცლია, არავინ არსად წასულა. ეს ხელისუფლება იმდენად სულმდაბალია, რომ გასვენების დროსაც კი შეეცადა კაცისთვის რაღაცა სისაძაგლე მოეხერხებინა.

პრეზიდენტის არჩევნების დროს ცუდი სიტუაცია იყო. ისეთი დემორალიზებული იყო ხალხი 1991-92 წლის ამბების გამო, რომ ამ დროს აქტიურობა არ შეეძლო, — გაფიქრებაც კი არ შეეძლო ამ აქტიურობაზე ისეთი დიდი კატასტროფა გვქონდა ჩვენ განცდილი! ამ არჩევნებში მონაწილეობაც კი ვერ მიილო მასამ, ვერც იბრძოლა, გაფიქრებაც კი ვერ შეძლო — მოდი, ვიბრძოლებო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიღრმის ტრავმა იყო მაშინ მიღებული მთლიანად ერის მიერ. ამიტომაც ყალბი არჩევნები ჩატარდა.

კაკო რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, შეტევა რუსეთიდან, — შეტევა, რომელიც წლებზე არის, ასე ვთქვათ, განაწილებული აი, ამ დეფაქტო მომხდარ ისტორიაში, — ეს შეტევა იქნებოდა უფრო კონცენტრირებული დროში. ის ყოვლად გაუმართლებელი, უსაფუძვლო, ობიექტური მიზეზის არმქონე კაპიტულაციები, რომლებიც ამ სულმდაბალმა ხროვამ განახორციელა, რა თქმა უნდა, არ განხორციელდებოდა. საქართველოს მდგომარეობა იქნებოდა სულ სხვა, გაცილებით უკეთესი.

ჯერ ერთი, არძინბასთან არავინ დაიწყებდა ომს.

მეორე, თუ დაიწყებდა, არავინ წააგებდა ომს.

მესამე, რუსეთს არავინ შეარჩენდა ამ ომის წარმოებას. ეს იქნებოდა გაცხადებული.

მეოთხე, არავინ შევიდოდა „ესენგეში" (დსთ-ში).

მეხუთე, არავინ დატოვებდა რუსეთის ბაზებს აქ, საქართველოში.

მეექვსე, არავინ მისცემდა ქურდბაცაცებს საშუალებას, რომ საქართველოს ქონება დაეტაცათ და ათეულობით მილიარდი დოლარი, მე ხაზს ვუსვამ — ათეულობით მილიარდი დოლარი, გადაენახათ უცხოეთის ბანკებში. ეს არ მოხდებოდა. ქვეყანა აღმავლობის გზით ივლიდა.

თუ საქართველოს მისი პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება არ მიათრევს ძალად დაღმავლობისაკენ, აღმავლობის გზის გარდა საქართველოს სხვა გზა არ არსებობს. იმიტომ, რომ ჩვენ ობიექტური პირობები ისეთი გვაქვს, რომლებიც განაპირობებს სწორედ აღმავლობას და თანაც საკმაოდ სწრაფი ტემპით. რატომ არის, რომ დღეს მთელი მსოფლიო გვებრძვის? იმიტომ, რომ ცნობილია, როგორც კი ჩვენ გავიკეთებთ, მაშინვე ძალიან დიდი გრადუსით დავიწყებთ აღმავლობას. ასეთი ადგილი ჩვენთვის არავის ემეტება, ზოგს მეტად და ზოგს ნაკლებად, რა თქმა უნდა.

საქართველოში საკმარისია პატიოსანი და ერთგული მთავრობის ყოლა, რომ ჩვენ აღმავალი გზით ვიაროთ. მხოლოდ საქართველოს არმოსიყვარულე პრეზიდენტს და არმოსაიყვარულე მთავრობას შეუძლია, რომ ამ აღმავლობისაგან შეგვაკავოს, მეტი არავის. უცხო ძალა ჩვენს აღმავლობას ხელს ვერ შეუშლის.

კაკოს დროს იმდენად ჩაკეტილი იყო სიტუაცია, რომ უცებ ვერაფერს გააკეთებდით. ჩვენ უკვე რამდენიმე წელიწადია გვაქვს მცდელობა, რომ შეკქმნათ ეროვნული ძალების ბირთვი, რომელსაც ალტერნატივა არ ექნება და რომელსაც ხალხი გაჰყვება. კაკო ამაში მონაწილეობდა, მაგრამ მაშინ სიტუაცია ისე იყო მომწიფებული; ახლა მომწიფებულია, მაგრამ იგი ცოცხალი აღარ არის.

ამას წინათ სარდაფის თეატრი რომ არის, იქ დამიძახეს. გვიან მივედი. ეკრანზე რაღაც სიუჟეტი მიდიოდა. თავდაპირველად ვერ მივხვდი. მერე გასაგები გახდა, რომ ნინო ჭავჭავაძის ცხოვრებას ეხებოდა იგი. ისეთი კარგი ტექსტი იყო, ლიტერატურულად დახვეწილი, ისეთი ღრმა, ფსიქოლოგიური, ისტორიულად და, რაც მთავარია, პოლიტიკურად ძალიან საინტერესო, რომ დიდხანს ვიფიქრე — ვისია-მეთქი. ვისი იქნებოდა თუ არა კაკოსი და მართლაც კაკოსი აღმოჩნდა. ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებების მიხედვით მივხვდი, რომ მისი დაწერილი იყო. კაკოს დაუწერია თურმე, მაგრამ სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია.

ეს შემთხვევა იმიტომ გავიხსენე, რომ ასე ღრმად მ[illegible] ეროვნ[illegible]კაცს ბევრს გაკეთება შეეძლო ქვეყნისათვის, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა.

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი მე-2 გვ.

აღს და ხან მეორე მხარეს და ფაქტობრივად, მიდის ამ ქვეყნების დანგრევაზე და სრულ გაუბედურებაზე. აფხაზეთის საკითხიც, მე მგონი, საკმაოდ ნათელია. ბუნებრივი და გასაგები უნდა იყოს აქ ყველასათვის, და თუ გასაგები არ არის, მე კვლავ გავიმეორებ, რომ რაღა თქმა უნდა, აფხაზეთი არის დაკარგული რუსეთის აქტიური მონაწილეობის მეშვეობით, რომელიც ფაქტიურად აწარმოებდა აგრესიას და ომს საქართველოს წინააღმდეგ. და ახლა რა სიტუაციას ვხედავთ ჩვენ. რუსეთის პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველოს უარს ეტყვის საქართველოსავე მძიმე ხელშეკრულების რატიფიკაციაზეც კი, თუ არ მოგვარდება მანამდე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხები. ხოლო თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხები, ამაზე ვიცით ჩვენ გამონათქვამები და აზრი რუსი პოლიტიკოსებისა, ჩვენ ვიცით რუსეთის საპარლამენტო უმრავლესობის აზრი და მე მგონი, ჩვენშიც არ უნდა არსებობდეს ეჭვები იმის თაობაზე, რომ თუკი მოგვარდა და თუკი გადაწყვიტა რუსეთმა ამ კონფლიქტის მოგვარება, რა სახეს და რა ფორმას მიიღებს ეს საქართველოსათვის და ფაქტიურად დაკანონდება აფხაზეთის დაკარგვა. იმავე აფხაზეთის კონფლიქტის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაური, ზოგი სხვა მაღალი თანამდებობის პირი გაიძახოდა იმ მიხაკისფერ-ყავისფერი საფრთხის წინაშე, რომელიც მოდიოდა რუსეთიდან და ასე ვთქვათ, ადანაშაულებდა იმ მხარეს იმაში, თუ რა მოხდა აფხაზეთში. ამავე დროს თითქოს არსებობდნენ რუსეთის დემოკრატები, რომლებსაც სამართლიანი გადაწყვეტა უნდოდათ. მაგრამ ჩატარდა არჩევნები რუსეთში და რას ვხედავთ ჩვენ, და სულ უკანასკნელი დღეების მოვლენები, როდესაც ამინისტირებულია წითელ-მიხაკისფერი გვარდია და ლიდერები, გამოშვებულნი არიან სწორედ რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით. მე მგონი, არ უნდა ტოვებდეს ეჭვს ის, თუ რას წარმოადგენს ამ პარლამენტის შემადგენლობა და რა პოლიტიკას წარმართავს იგი საქართველოსა და სხვა ყოფილი რესპუბლიკების მიმართ.

ჩემს გაოცებას, სიმართლე რომ გითხრათ, იწვევს ის ფაქტი, რომ ეს საკითხი დგება სწორედ დღეს სახელმწიფოს მეთაურის აშშ-ში ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტისას. რატომ უნდა წავიდეს ის ხელფეხშებოჭილი იქ და არ უნდა ჰქონდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი, ფორმალურად მაინც დამოუკიდებელი ქვეყნის ლიდერის სტატუსი და რატომ უნდა ჰქონდეს მას უკვე „სნგ“-ს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს, ანუ პირდაპირ ვთქვათ, რუსეთის მარიონეტის სტატუსი. ამის განმარტება ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვისმინეთ, არა და ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის და მასზე პასუხის გაუცემლად რაიმე გადაწყვეტილების მიღება ყოვლად გაუმართლებელი იქნება.

კიდევ ერთ საკითხს მინდა მივაქციო ყურადღება. სახელმწიფოს მეთაურმა თავის, ალბათ კიდევ ექნება უფრო ფრცელი გამოსვლა, მაგრამ თავის ხანმოკლე წინა გამოსვლაში მან აღნიშნა, თითქოს იწურება დრო, ასე ვთქვათ, ამ საკითხის გადასაწყვეტად. წესდების მე-7 მუხლის თანახმად, რომელიც ჩვენ ყველას დარგებული გვაქვს და რომელსაც, ალბათ, გავეცანით, ვისაც გვაინტერესებდა, ჩანს, რომ ეს ასე არ არის და საქართველოს კიდევ საკმაოდ ბევრი დრო აქვს მომავალი წლის ოქტომბრამდე, თუ არ ვცდები. ერთი წლის განმავლობაში უნდა იყოს ხელმოწერით შეერთების შემდეგ მისი რატიფიკაცია. ასე რომ, დრო ჩვენ ნამდვილად გვაქვს და ეს დრო ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, თუ რაზე ვიტყვით უარს, თუ დღეს გავაკეთებთ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას.

პოლიტიკური ასპექტები კიდევ ძალიან ბევრი აქვს ამ პრობლემას. პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც და ყველანაირი ასპექტი კიდევ ბევრი აქვს. მე არ მინდა ახლა ამ ასპექტებზე შევჩერდე იმიტომ, რომ იყო მსჯელობა — არაერთხელ გამოგვითქვამს რესპუბლიკელებს აზრი ამის თაობაზე პრესაშიც, ტელევიზიაშიც, სანამ იყო ამის შესაძლებლობა, აქ, საპარლამენტო ტრიბუნიდან, და ა.შ. მაგრამ, აი, ყველას მინდა მოგმართოთ, აქ ყოფილა, დღესაც არის და კიდევ იქნება, ალბათ, ცხარე კამათები იმიტომ, რომ პარლამენტი მართლა საკამათო ადგილია, აზრთა შეჯახების ადგილი და, რა თქმა უნდა, ოპოზიციონერები ციხეში არ უნდა ისხდნენ, განსხვავებით ჯაბა იოსელიანის აზრისაგან. კარგია, ბატონო ჭაბუა, რომ თქვენ მომახმარეთ, ასე ვთქვათ, სიტყვა. მე მინდა, გულწრფელად გკითხოთ — „დათა თუთაშხია“, რომელიც არის თავისუფლების და ღირსების ჰიმნი, ის მხოლოდ დაწერილი ნაწარმოები არის, თუ ეს არის მხოლოდ მისი ავტორის პოზიცია? მე მინდა, ვკითხო ბატონ ელდარ შენგელაიას, აი ფილმი „შერეკილები“ — ეს მართლა არის თავისუფლებისათვის სწრაფვა, რომელიც დარჩა ეკრანზე და დარბაზში დაიკარგა? მე მინდა, გკითხოთ თქვენ, ჩვენო მეგობრებო, რომ წახვალთ სახლში, თქვენს ამომრჩევლებთან, თქვენს ახლობლებთან, თვალებში როგორ შეხედავთ, როდესაც ხელს მოაწერთ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას? (ხმაური დარბაზში). დიდი მადლობა. (ტაში დარბაზში).

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო, თქვენ ამჩნევთ ალბათ, რომ მე ოპოზიციას გაცილებით კარგ პირობებს ვუქმნი. არავითარი ხელის შეშლა არ არის და ამიტომ გაითვალისწინეთ თქვენ ეს ამბავი. ბატონი ვალერი კვარაცხელია, შემდეგ ბატონი აკაკი ასათიანი. ვისაც აზრი აქვს, ის არ ყვირის, ის ლაპარაკობს და აზროვნებს.

ვ. კვარაცხელია. პატივცემულო თავმჯდომარე, პატივცემულო დეპუტატებო, ჩემი აზრით, ძალიან საწყენია ერთი გარემოება, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ დღეს ამ დარბაზში მოვსულიყავით განწყობით, რომ მართლაც გვეკამათა, მართლაც შეგვეჯერებინა აზრები ერთმანეთთან და მართლაც გვეფიქრა იმაზე, თუ რა გამოსავალი არსებობს დღეს საქართველოსთვის. არადა დამეთანხმებით — როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია, რომ მე ყოველთვის ვიცავ ერთ აზრს, არ მეგულება არც ერთი დეპუტატი, იქნება ეს უმრავლესობაში, თუ უმცირესობაში, რომელიც არ ხელმძღვანელობდეს საქართველოს გადარჩენის იდეით და რომელსაც სხვა რამ, სხვა გრძნობები ამოძრავებდეს. მაგრამ ის, რაც დღეს ამ დარბაზში ხდება, არ არის, ალბათ, ნორმალური მოვლენა, არ არის ეს ალბათ ის, რაც უნდა იყოს ამ დარბაზში. ამიტომ, მე ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თავს უფლებას მიცემ როგორც ოპოზიციას, ასევე უმრავლესობას მოგიწოდოთ, რომ ეს დღე, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისა, გამოვიყენოთ უფრო მეტად და რაციონალურად და მოვთოკოთ ჩვენი ემოციები.

მე ძალიან კარგად მესმის, რომ ძნელია, დადგე ამ ტრიბუნასთან მაშინ, როცა გისმენს მთელი საქართველო და დაიცვა პოზიცია, რომ ჩვენ უნდა გავწევრიანდეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და ამით გარკვეულწილად შევზღუდოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი. გაცილებით უფრო ადვილია გამოხვიდე აქ და ხალხს უთხრა, რომ მე ვარ ის დეპუტატი, მე ვარ ის არჩეული პიროვნება, რომელიც იბრძვის საქართველოს სრული თავისუფლებისათვის, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ამ მიზნებით და ამ პოზიციით ვხელმძღვანელობ. რა თქმა უნდა, ბატონო ივლიანე, შეიძლება მიხვიდე ამომრჩევლებთან და რაღაცნაირი რაინდისა და გმირის მანტია მოსხმული მოევლინო მას, რომ აი, მე გავაკეთე ყველაფერი, ის, რისი გაკეთებაც შემეძლო. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ საკითხს, თუ უფრო გავაანალიზებთ იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება და იმასაც გავითვალისწინებთ, რაც შეიძლება ხვალ მოუვიდეს, მაშინ იქნები გმირი, შენს ამომრჩეველთან რომ მიხვალ, და რომ ეტყვი, რომ მე მივიღე ის გადაწყვეტილება, რომელმაც შენ შეიძლება ხვალ დაგღუპოს და საბოლოოდ გადაგჩეხოს უფსკრულში... ალბათ, არა. მე ძალიან მინდა, რამე არგუმენტი ვიპოვო ჩემთვის პირადად. ამ შემთხვევაში, მე არ წარმოვადგენ არც უმრავლესობას, არც ოპოზიციას. ვარ ერთი რიგითი დეპუტატი და პასუხს ვაგებ ჩემი ამომრჩევლების წინაშე და ძალიან მინდა, ვიპოვო რაღაც ხელჩასაჭიდი, რომ მართლა დავდგე პოზიციაზე, არ მივცე ხმა „სნგ“-ში შესვლას და ვიყო, ასე ვთქვათ, ეროვნული, თავისუფლების ტალღაზე მიმართული. მაგრამ თუკი ვერ ვპოულობ ამას, თუკი თქვენ, ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ მაძლევთ არგუმენტს, რომლის გამოც მე თქვენს გვერდით დავდგები, მაშინ რა ვქნა, სად წავიდე? (ხმა დარბაზიდან). ბატონო ივლიანე, თუ მაცლით, ძალიან კარგი იქნება. ბატონებო, ბატონო ივლიანე, თქვენ ბრძანეთ რუსეთთან ურთიერთობის ისტორია — ეს არის გაცრუებული იმედების ისტორია. გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ, ყველა დამეთანხმებით. მაგრამ აქაც ცოტა ღრმად გავაანალიზებთ საკითხს, იქნებ არც ეს არის მთლად სწორი დებულება. იქნება, რუსეთთან ურთიერთობა რომ არ ყოფილიყო, თუნდაც თავის დროზე — 200 წლის წინ და ის ნაბიჯი არ გადადგმულიყო, მაშინ იქნებ ფიზიკურად არ არსებულიყო ქართველი ერი (ხმა დარბაზიდან: სისულელეებს ლაპარკობს...).

თავმჯდომარე. მოიცათ. (ხმაური დარბაზში). ბატონო ირაკლი, თქვენ იცით... წერეთელი, დაბრძანდით მანდ, ადგილზე. (კამათი დარბაზში). ვერ არის კარგად. (ი. წერეთელი კამათობს, არ ისმის). რა უნდა?

ვ. რჩეულიშვილი. დატოვოს დარბაზი, კაცო, ვთხოვოთ, რომ დატოვოს დარბაზი, თორემ...

თავმჯდომარე. ბატონო ირაკლი, გთხოვთ დატოვოთ დარბაზი. (ყვირილი დარბაზში). წერეთელი, დედის გინების უფლება არავის არა აქვს პარლამენტში, ახლავე დატოვეთ დარბაზი. (ყვირილი დარბაზში). დატოვე დარბაზი, რომ გეუბნები. (ხმაური დარბაზში). დავაყენოთ ახლა კენჭისყრაზე, რომ დატოვოს დარბაზი. (ხმაური დარბაზში). ეს საქმე კაცო? შეურაცხყოფას ვინც აყენებს, ამას ხედავენ კარგად. წყნარად იყავით. (ხმა დარბაზიდან: ერის შეურაცხყოფა შეიძლება, არა?). (ცხარე კამათი დარბაზში). ვისაც აზრი აქვს, არ ყვირის, გამოდის და აზრს ამბობს. აზრი გვემწარება ზოგჯერ და ვიგინებით, ეს არის სირცხვილი. (ხმაური დარბაზში). კარგით, მერე ვილაპარაკებთ. ... ... გააგრძელეთ.

ვ. კვარაცხელია. ბატონებო, მე მგონი ხაზგასმით ვთქვი, რომ ერის ფიზიკურ გადარჩენაზე არის ლაპარაკი და მაშინაც ეს საკითხი იდგა. ამიტომ ხმამაღალი შეძახილები, ყვირილი, უზრდელობის და აღუზრდელობის გამოვლენა პარლამენტში არგუმენტად ვერ გამოადგება. ბატონო ირაკლი, მე არ უნდა გპასუხობდეთ ახლა თქვენ, მაგრამ მე თავს უფლებას ვერ მივცემ ერთი სიტყვა არ გითხრათ მაინც. თქვენ სისულელე უძახეთ იმას, რაც მე ახლა მოგახსენეთ. რაც მე თქვენი სისულელეები მისმენია, ბატონო ირაკლი, პირადად ჩემთან საუბარში, იქნებოდა ეს დამოუკიდებლად, მარტო პირისპირ, თუ იქნებოდა საჯაროდ, მე არც ერთი მაგ საუბრისათვის ასეთი კვალიფიკაცია არ მიმიცია, თუმცა უამრავი არგუმენტის მოტანა შემეძლო, როცა გინდოდა მაშინ. ამიტომ თქვენ მე ძალიან დიდი ხანია მთხოვთ, იქნებ კიდევ ერთხელ გამომიყვანოთ პირისპირ. აი ახლა მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ როცა გინდათ, მაშინ გამოგიყვანთ პირისპირ და დაგალაპარაკებთ თქვენს ხალხთან. მერე ვინ სისულელეს ილაპარაკებს და ვინ ერისთვის მზრუნავი იქნება, იქ გამოჩნდება. ბოდიშს ვიხდი ამ გადახვევისათვის (ხმა დარბაზიდან: ტელევიზიაა თუ პარლამენტი, რა არის ეს?).

თავმჯდომარე. პარლამენტი რომ იყოს, ამიტომ უნდა გაჩუმდეთ. (ხმა დარბაზიდან: ესეც კანონის დარღვევაა...). ამისთანა კანონი არ გამიგია, დაბრძანდით მანდა. დაბრძანდით ადგილზე.

ვ. კვარაცხელია. ბატონო ივლიანე, თქვენი არგუმენტი იყო ერთი ასეთი, რომელიც მე ძალიან მენიშნა, რატომ უნდა წავიდეს სახელმწიფო მეთაური აშშ-ში „სნგ“-თი ხელშებოჭილი. (სიცილი დარბაზში).

თავმჯდომარე. ტკბებიან. ეი. საკუთარი სიბრყვით ასე იხიბლებოდეს...

ვ. კვარაცხელია. ბოლო წლებისა... (ხმა დარბაზიდან: რეგლამენტი).

თავმჯდომარე. ჯერ აქვს დრო.

ვ. კვარაცხელია. ბატონო ვახტანგ, თუ შეიძლება რეგლამენტი დარბაზს დაუწესეთ და მე დავიცავ ჩემს რეგლამენტს.

თავმჯდომარე. მართალი ბრძანდებით. ვინც მართალია, იმას შეუძლია სხვისი მოსმენა. (სიცილი). თქვენ... თუ გინდათ აზრი გამოთქვათ, გამობრძანდით, ტრიბუნა გაქვთ. თუ ყვირიხართ, ეს ცუდის ნიშანია. გვინდა კამათი, თუ არა? (ხმა დარბაზიდან). მაშინ გაჩუმდით. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ შევწყვიტავ. რა თქმა უნდა, მოვუსმინოთ. (კამათი დარბაზში). ბატონო დეპუტატებო, თქვენ იცით, რომ იდგა საკითხი, შევწყვიტოთ კამათი. ქალბატონო ლუიზა, არ შეიძლება ადგილიდან არ ვიყვიროთ, ვილაპარაკოთ, ვიაზროვნოთ, როგორც პარლამენტში. ყოველ წამს ნუ ვარღვევთ წესს. წესის დარღვევას არ ჰქვია კარგი სახელი. ბატონი ვალერი კვარაცხელია ის კაცი არ არის, რომ აზროვნებაზე ასეთი ზეწოლით გადათქვას ის, რაც უნდა თქვას, ანდა ვინმეს შეეშინდეს. (ხმა დარბაზიდან). თუ არ მისცემთ საშუალებას, შევწყვეტთ მაშინ და ვუყრით კენჭს. მე მივმართავ უმცირესობას. შევთანხმდეთ ასე, ხომ გიქმნით მე პირობებს, ხომ გისმენთ, მაშინ თქვენც გაჩუმდით. ახლა დაუგდებთ ყურს თუ არა? არა და არც ის ხალხი არ მოგისმენთ. გისმენთ, ბატონო ვალერი.

გაგრძელება იქნება

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, ჰუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.